საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომები (1917 წელი) ••

საქართველოს ეროვნულ საბჭო
პირველი სხდომა
26 ნოემბერი 1917 წელი

კრებას დაესწრნენ საბჭოს წევრები: აკაკი ჩხენკელი, ნიკო ელიავა, შ. ჩხიკვიშვილი, პ. საყვარელიძე, ნიკო ნიკოლაძე, დავით ჩიქოვანი, დავით ონიაშვილი, ე. როგავა, ანდრია ჭიაბერაშვილი, კონსტანტინე მაყაშვილი, გიორგი ჟურული, პეტრე ქავთარაძე, მიხეილ მაჩაბელი, ვლადიმერ გობეჩია, მინადორა ტოროშელიძე, ივანე ჩერქეზიშვილი, შალვა ამირეჯიბი, გრიგოლ რცხილაძე, ი. ბაქრაძე, გერონტი ქიქოძე, გიორგი ლასხიშვილი, დიმიტრი უზნაძე, მიხეილ კლიმიაშვილი, კონსტანტინე მესხი, ი. დადიანი, ივანე გობეჩია, კონსტანტინე აფხაზი, შალვა მესხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი გვაზავა, რ. ნიჟარაძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, ა. ფარნიაშვილი, მემედ ბეგ აბაშიძე, იოსებ გედევანიშვილი, იესე ბარათაშვილი, კონსტანტინე საბახტარიშვილი, ნიკოლოზ ქარცივაძე, სიმონ მდივანი, ნოე რამიშვილი, პეტრე გელეიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ალექსანდრე ლომთათიძე, სერგო ჯაფარიძე, გრიგოლ ნათაძე, იოსებ გობეჩია; კრებას დაესწრო აგრეთვე ზაქათალის ოლქის წარმომადგენელი.

•• პუბლიკაცია მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის - „თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან: საქართველოს ეროვნული საბჭო-საქართველოს პარლამენტი“ ფარგლებში. გრანტის კოდი: FR-23-2950

1. კრებას ხსნის ინტერპარტიულ საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი და მოუწოდებს ეროვნულ საბჭოს - დაუყონებლივ იქმნას არჩეული აღმასრულებელი (პოლიტიკური) ორგანო. კამათს იწვევს საკითხი - ცალ-ცალკე იყოს ამორჩეული ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და პრეზიდიუმი - თუ საკმარისია არჩევა მხოლოდ აღმასრულებელ ორგანოსი, რომელსაც მიენიჭება პრეზიდიუმის ფუნქციებიც.

გადაწყდა: რადგან საჭიროა, რომ ეროვნული საბჭოს რაც შეიძლება მალე შეუდგეს მუშაობას, ამიტომ ჯერ-ჯერობით აუცილებლად უნდა იქმნას არჩეული პოლიტიკური ორგანო-აღმასრულებელი კომიტეტი, შემდგარი 15 კაცისგან, ხოლო ეროვნულ საბჭოს ორგანიზაციის საკითხი გადაიდოს შემდეგისთვის. აღმასრულებელ კომიტეტში კრებამ აირჩია შემდეგი პირნი: სოც-დემოკრატებიდან 8 კაცი - ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ალექსანდრე ლომთათიძე, ა. ფარნიაშვილი, ჰაიდარ - ბეგ აბაშიძე; პავლე საყვარელიძე („ალიონი“); სოც-ფედერალისტებიდან 2 კაცი - გრიგოლ რცხილაძე და ი. გედევანიშვილი; სოც-რევოლუციონერებიდან 2 კაცი კონსტანტინე მესხი და ვ. გობეჩია; ნაც-დემოკრატებიდან - 2 კაცი - გიორგი გვაზავა და გრიგოლ ვეშაპელი; სამაჰმადიანო საქართველოდან 1 კაცი - მემედ - ბეგ აბაშიძე (დროებით).

2. ზაქათალის ოლქის წარმომადგენელი ითხოვს განმარტებას - რა მოსაზრებით არის მოწვეული ეროვნულ საბჭოში ზაქათალის ოლქის წარმომადგენელი. აკაკი ჩხენკელი იძლევა განმარტებას და ამბობს, ის გარემოება, რომ ზაქათალელების წარმომადგენელი მოწვეულია ეროვნულ საბჭოში იმას არ ნიშნავს, რომ ვითომც ზაქათალა უკვე შემოვუერთეთ საქართველოს; ზაქათალას 1 ადგილი მიაკუთვნეთ და მათი საქმეა - ისარგებლებენ თუ არა; ამის გარდა, ზაქათალის საკითხს თვით ადგილობრივნი მცხოვრებნი გადასწყვეტენ.

3. საერობო კომისიაში წარმომადგენლობის საკითხი.

თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი აუწყებს კრებას, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატთან შესდგა საგანგებო საერობო კომისია, რომელსაც სხვათა შორის, მოუხდება ტერიტორიალურ გამიჯვნის საკითხის გადაწყვეტა; ქართველებისაგან საჭირო ყოფილა 3 წარმომადგენლის გაგზავნა.

გადაწყდა: საერობო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილ იქმნან შემდეგი პირნი: ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი და გრიგოლ ნათაძე. ნაციონალ-დემოკრატების მხრივ გრიგოლ ვეშაპელი აცხადებს, რომ მათი პარტია არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს საერობო კომისიის მუშაობაში, რადგან მათი წარმომადგენელი არ იქმნა ამ კომისიაში არჩეული. 4. შალვა მესხიშვილს წინადადება შემოაქვს განხილულ იქმნას მცხოვრებთა შეიარაღების საკითხი. გადაწყდა- ეს საკითხი მოიხსნას.

თავმჯდომარე
მდივანი
სცსსა, ფ. 1836 ანაწ.1, საქ.8, ფურც. 03-04.

საქართველოს ეროვნულ საბჭო
მე-2 კრება
10 დეკემბერი 1917 წ. ქ. ტფილისი

კრებას დაესწრო - წევრი და 5 კანდიდატი (იხ. ცალკე სია)

თავმჯდომარეობს:

აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია

პრეზიდიუმში არიან: აკაკი ჩხენკელი, კოტე მესხი, გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, პავლე საყვარელიძე.

მდივანი - დავით ნახუცრიშვილი.

კრება - ნაშუადღევის 1 საათ. და 30 წ. დაიწყო და დაიხურა საღამოს 5 ½ საათზედ.

გამოცხადებულ იქმნა განსახილველი საგნების სია:

1.აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება.

2. საბჭოს თვით ორგანიზაცია.

3. მიმდინარე საკითხები.

თავმჯდომარე ეკითხება კრებას ახალი საკითხები თუ არის რამე?

4. ბ. ჯურულმა მოითხოვა დაარსდეს ტეხნიკური განყოფილება.

5. ბ. კ. მაყაშვილმა - გამოიყოს და ცალკე დაარსდეს ხელოვნების სექცია.

1. თავმჯდომარის წინადადებით საქმეთა მმართველი პ. საყვარელიძე მოახსენებს საბჭოს კრებას, თუ რა გააკეთა აღმასრულებელმა კომიტეტმა დღევანდლამდის, სახელდობრ პრეზიდიუმის შესახებ მოახსენა, რომ აღმასრულებელს კომიტეტში იყო მსჯელობა იმის თაობაზედ, ერთი პრეზიდიუმი იკმარებს საბჭოსთვისაც და აღმასრულებელ კომიტეტუსთვისაც, თუ არა; გამოითქვა ორი აზრი: ერთი ამტკიცებდა, რომ ერთი პრეზიდიუმი საბჭოსი იყოს ცალკე, აღმასრულებელ კომიტეტისა ცალკე. ეს კითხვა ეხლა საბჭომ უნდა გადაწყვიტოს. ჯერ-ჯერობით კი პრეზიდიუმი კომიტეტისა იქნება პრეზიდიუმი საბჭოსიც.

პრეზიდიუმი შესდგება 6 კაცისგან: 1 თავმჯდომარე, 3 მისი ამხანაგი, 1 მდივანი და 1 ხაზინდარი; არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარედ ნ. ჟორდანია. მის ამხანაგებად: ა. ჩხენკელი, გ. რცხილაძე, გ. ვეშაპელი, მდივნად პავ. საყვარელიძე, ხაზინადრად კ. მესხი. გარდა ამისა სხვა და სხვა საქმეების გასაძღოლად იმუშავებენ განსაკუთრებითი კომისიები: 1. ქონებისა, 2. სამხედრო, 3. საფინანსო, 4. სამოსამართლო და საადმინისტრაციო, 5. სასკოლო და ხელოვნებისა, 6. სახალხო მეურნეობის და სასურსათო, 7. საგარეო და სამაჰმადიანო საქართველოს გამგებლობისა, 8. საერობო კომისია და 9. ჯანსაღობისა. ყველა ამ კომისიას გამგეები დაენიშნათ კომიტეტის შემადგენლობიდან. ეს გეგმა წარმოედგინება კრებას დასამტკიცებლად.

პ. ქავთარაძემ განაცხადა, რომ ბ. საყვარელიძის მოხსენება იყო ზოგადი და უფრო კი საჭირო იყო, საბჭო გასცვნობოდა საქმეებს დაახლოვებით და დაწვრილებით.

გობეჩიამ მოითხოვა მოხსენებოდა კრებას სამხედრო სექციის მუშაობა.

დ. ვაჩნაძემ განაცხადა, რომ სამხედრო სექციის მოხსენება კრებას მოესმინა გარეშეთა დაუსწრებლად.

თავმჯდომარის ჟორდანიის წინადადებით გადიდო სამხედრო სექციის მოხსენება ბოლოსთვის, როდესაც გარეშენი დათხოვნილ იქმნებიან, მაშინვე იქნება მოხსენება საერთაშორისო მოლაპარაკების შესახებაც.

1. - მიღებულ იქმნა ერთხმად **წინადადება აღმასრულებელ კომიტეტისა სექციების გამგეთა არჩევის შესახებ და აგრეთვე კ. მაყაშვილისა,** რომ **ხელოვნების სექცია დაარსდეს დამოუკიდებლად** სხვა სექციისა.

2. - აგრეთვე ბ. ჟურულის მოხსენება - რომ **დაარსდეს აღმასრულებელ კომიტეტთან ტეხნიკური სექცია.**

შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენებანი სხვა და სხვა სექციებისა.

1. პირველად მოახსენა ქონებათა სექციის გამგემ გ. გვაზავამ - შედგენილია და ამ დღეებში გამოვა დეკრეტი იმის შესახებ, რომ თავადაზნაურობის საერთო ქონება გადავიდეს ეროვნულ საბჭოს ხელში საკუთრებად, ამ აქტის ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ დამტკიცების შემდეგ სექცია ჩაიბარებს ყოველივე ქონებას.

პ. გელეიშვილმა განაცხადა, რომ ასეთი მოქმედება კომიტეტისა მას მიაჩნია უხერხულად პრინციპიალურის მოსაზრებით; ყოველივე საკითხი უნდა განხილულ და დადასტურებულ უნდა იქმნეს ჯერ აქ, საბჭოში და მერე ისე წარედგინოს სხვას დასამტკიცებლად, თუ გამოსაცემად. ამ უფლებას ვერ დაუთმობთ ვერავისო. ამ განცხადებამ გამოიწვია კამათი. **ზოგნი** ამტკიცებდნენ, რომ საჭირო არ იყო ქონებათა საქმის აქ განხილვა, რადგან საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ უკვე დაადასტურა იგი. **ზოგ-**

მაც ის მოიყვანა საბუთად, რომ საშური იყო ამ საქმის გაკეთება და ამიტომ მოხდა ასე.

3. ქონებათა გამგის მოხსენება მიღებული იქმნა. ამ საკითხმა გამოიწვია მეორე საკითხის შესახებ მსჯელობა, სახელდობრ, რა დამოკიდებულება უნდა იყოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს და ამიერკავკასიის კომისარიატს შორის.

4. ივ. ჩერქეზიშვილის წინადადებით **დაევალა აღმასრულებელ კომიტეტს მოამზადოს და წარმოუდგინოს საბჭოს მოხსენება იმისა, თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს საბჭოსა და კომისარიატს შორის.**

შემდეგი მოხსენება იყო საფინანსო სექციის გამგისა ბ. კ. მესხისა.

ჯერ-ჯერობით თვალსაჩინო არაფერი გაკეთებულა; მასალები არ მოიპოვება და ამ მასალების შეკრებას შეუდგა სექცია, რომ გაითვალისწინოს საქართველოს მთელი საფინანსო საქმის ვითარება და ავლადიდება. ამის გარდა სექციამ მოითხოვა სხვა და სხვა სექციებისაგან წარმოდგენა თავიანთ ხარჯთაღრიცხვისა.

შეკითხვების და აზრთა გამოთქმის შემდეგ გამოირკვა, რომ საფინანსო სექციას არ უზრუნია სხვა საშუალების გამოსაძებნად გარდა თავადაზნაურთა ქონების მიღებისა, არც იმაზედ, თუ როგორ ვიშოვოთ ეხლავე ფული. ეროვნულ ყრილობის რეზოლიუციით კი უმთავრესად ამ სექციას ევალება ჰკრიბოს ნებაყოფლობითი გადასახადი და აიღოს სესხი საქართველოს საქმეების დასაცავად.

ა. დაევალა სექციას **იხელმძღვანელოს ეროვნულ ყრილობის რეზოლუციით თავის მუშაობის დროს.**

ბ. ჟურულის წინადადებაა, რომ რადგანაც ცალკე ვაჭარ-მრეწველთა სექცია არ არსებობს თუმცა მისი არსებობა საჭირო იყო. დაევალოს საფინანსო სექციას ამ ნაწილის გაძღოლაც.

6. **თავმჯდომარე ჟორდანია** უპასუხებს, **რომ ვაჭრობა-მრეწველობა უფრო ეხება სამეურნეო სექციას და ეს დარგიც დაუქვემდებაროთ სამეურნეო სექციას.**

ეს წინადადება მიღებულ იქმნა.

აკ. ჩხენკელის მოხსენება ერობისა და გამიჯვნის შესახებ.

გამიჯვნის შესახებ განაცხადა, რომ რადგან კომისარიატმა გამოსცა ცნობილი დეკრეტი ერობის შემოღების შესახებ, ამიტომ ჩვემ უნდა შევხებოდით პირველად გამიჯვნის საკითხს ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებისას. გავეცანით სომხების პროექტს გამიჯვნისას, გამოირკვა, რომ როგორც ისინი თხოულობენ, ჩვენთვის შეუძლებელია მიღება, საჭიროა შესწორების შეტანა, მით უმეტეს, რომ ამ პროექტიდ წინააღმდეგი ყოფილან ადგილობრივი მცხოვრებნი როგორც ქართველები, აგრეთვე თათრები და თვით სომხებიც, როგორც ფიზიკურის, ეტნოგრაფიულის აგრეთვე ეკონომიურის მხრითაც. ამ საგანს შესწავლა უნდა, ჩვენ გვაქვს დაარსებული მცირე სექციები, რომელთაც დავალებული აქვთ ყველა კუთხის გაცნობა-შესწავლა იმ მდიდარი მასალების მიხედვით, რაიც შეკრებულია სასურსათო აღწერის დროს.

ერობის შემოღების შესახებ: მუშაობა დაწყებულია სპეციალისტების მიერ დებულების შესამუშავებლად, მიღებულია ის აზრი, რომ რუსეთის ერობა გადმოიტანონ კავკასიაშიც, მხოლოდ საჭირო გახდა ადგილობრივ პირობების მიხედვით ზოგიერთი ცვლილების შეტანა. 15 დეკემბრამდის დასრულდება ეს მუშაობა. ამის გარდა გვინდოდა გაგვეგო რიცხვი დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის მიმღებთა, რომ გამოგვერკვია კითხვა, თუ სად რამდენი ხმოსანი იქნება საჭირო. როდესაც ყველა მასალა გამიჯვნისა და ერობისა დამზადებულ იქნება, საბჭოს წარმოედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად.

ბ. ვეშაპელმა დაუმატა ცნობები საზოგადოთ მეზობელ ერებთან გამიჯვნის შესახებ, როგორც აბხაზებთან, ოსებთან და სხვა.

7. მოხსენება მიღებულია.

კრებას მოჰხსენდა, რომ ზოგიერთს სექციას ჯერ მუშაობა არც კი დაუწყია სხვა და სხვა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო, მაგალი-

თად, სექციაში არ არიან დანიშნულნი ფრაქციათა წარმომადგენელნი.

კრებამ ვერ მოისმინა სასკოლო, სამეურნეო, ჯანმრთელობის სექციების მოხსენებანი, რადგან არაფერი გაუკეთებიათ ჯერ-ჯერობით. **სამაჰმადიანო საქართველოს სექციის** მოხსენების მოსმენაც გადიდო გარეშეთა დაუსწრებელ კრებისთვის.

შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა გარეშე დამსწრეთ და პრესის წარმომადგენელთ დარბაზი დაეტოვებინათ, რადგან სამხედრო სექციის წარმომადგენელს უნდა მოეხსენებინა კრებისთვის თავისი მუშაობის შესახებ.

რადგანაც სამხედრო სექციის გამგე ნ. რამიშვილი კრებაზედ არ იყო, ამიტომ მოხსენება კრებას წარუდგინა სექციის წევრმა დ. ვაჩნაძემ.

როდესაც სამხედრო სექციამ ჩაიბარა ქართულ ჯარის საქმე, ნახა, რომ შედგენილი იყო ორი პოლკი, მესამე და მეხუთე კი სდგებოდა, ისიც ძალიან მძიმედ. სექციამ გადასწყვიტა ჯარის შედგენის დაჩქარება. ამის გარდა ზოგიერთი ზომებიც შეიმუშავა ჯარისთვის: მაგალითად - წესიერების აღდგენა ჯარში, კულტურულ განმანათლებელი მუშაობის დაწყება და სახალხო მილიციის პროექტის შემუშავება, რომელიც მუდმივი საფუძველი იქნება საქართველოს მომავალი ჯარისა. ჯარის ნაწილების შევსება ფერხდება, რადგან ფრონტიდან ჩვენი ჯარი მძიმედ მოდის, არ იციან ჩვენი ქვეყნის ვითარება, ამიტომ მოწოდება იგზავნება ჯარებში, რომ გამოეშურნენ საქართველოსკენ. მაგრამ, როგორც სჩანს, ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობებათ ქართველ ჯარის კაცებს წამოსასვლელად. ჩვენთვის დემობილიზაცია არ არის სასურველი; ამ კითხვის მოგვარება დავალებული აქვს შტაბის ნაწილს. უნდა ვეცადოთ რომ ჩვენი ჯარის გადმოსვლას დასავლეთ ფრონტიდან მიეცეს წესიერი ხასიათი.

1 ბატალიონი გაიგზავნა ბათუმში, 1 ბატ. ახალციხეში მიდის, იქ გაიშლება პოლკად, ჯარი იგზავნება ქუთაისიდან ზუგდიდში იმ რაიონის (სამეგრელო-სუხუმის) დასაცავად. სამხედრო გზა ამ

დღეებში გადავა ქართველ ჯარის ხელში. სურსათის საქმე საერთო მდგომარეობაშია, მაგრამ მოწყობილების მხრივ კი ბევრი რამ აკლია ჩვენს ჯარს, მეტადრე იარაღი.

ამას ყველას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. მალე ბევრი ნაწილების ქონება განთავისუფლდება და ჩვენს ხელში უნდა გადმოვიდეს, ამ საქმესაც პატრონი გაუჩინა სექციამ.

ამ ცნობებს იოს. გედევანიშვილმა დაუმატა კიდევ, რომ კორპუსის შედგენა ფერხდება იმით, რომ ხალხი ნელა მიდის ნაწილების შესავსებად. მთავრობაც, უფროსებიც გვისრულებენ ყოველივე მოთხოვნილებას, მაგრამ ქვევით ერთეულებში არ ასრულებენ განკარგულებებს. მეტადრე დაბალი ოფიცრები. ქართველი ჯარისკაცები ტერორის ქვეშ ჰყავთ, რადგან ნაწილების დაშლა აფიცრების უადგილოდ დარჩენას მოასწავებს და მასთი ინტერესი ეწინააღმდეგება ჯარიც ნაციონალიზაციას. იარაღი მიღებული გვაქვს; მთავარ სარდალმა გასცა ბრძანება ქართველ ჯარისკაცების საქართველოში გადმოყვანის შესახებ. სპარსეთიდან ცხენოსანთა პოლკი მალე უნდა ჩამოვიდეს და დაიჭერს ავლაბარში ნიჟეგოროდის პოლკის ყაზარმებს; ზემგორის ქონება უნდა გადმოეცეს ეროვნულ ერთეულებს, მაგრამ ჩვენ არაგვაქვს ავტომობილები და ველოსიპედები. შეგვიძლიან მივიღოთ ძალით, მაგრამ არასასურველს შედეგს მოიტანს. ქუთაისის რუსის ჯარის ქონება ჩვენს ჯარს უნდა გადმოეცეს, მაგრამ სალდათები ქონებას არ იძლევიან, ჩვენია და თან უნდა წავიღოთო. დასრულებულია ცხენოსანთა ბატარეია. ზარბაზნები სულ მიღებული გვაქვს. შემდეგ მოიყვაბა ცნობები იმისი, თუ რა ნაწილებია ჯარისა შემდგარი, რამდენი კაცისაგან და სად რა ნაწილები სდგას.

შემდეგ დაიწყო შეკითხვების მიცემა და მცირე კამათი მოხსენებულის გამო; რის შემდეგ გამოირკვა ზოგიერთი არა ნორმალური მოვლენა ქართულს ჯარში, რომლის თავიდან აცილებას სცდილობს ქართველ ჯარის მთავრობა. აგრეთვე შეკითხვა იყო, თუ რა დამოკიდებულებაა სამხედრო კავშირსა და სამხედრო სექციას შორის, რაზედაც გედევანიშვილმა უპასუხა, რომ კავშირი კერძო საზოგა-

დოებაა, ჯარის შედგენა და მოხმარება კი მხოლოდ ეროვნულ საბჭოს ხელშია.

ავიაციის შესახებ გამოითქვა აზრი, რომ სასურველი იყო, ყურადღება მიექცია სექციას ავიაციისათვის, შესაფერი ქონება მის ხელში გადმოსულიყო.

გედევანიშვილმა განმარტა, რომ ჯარების ნაციონალიზაციის ნებართვაში ავიაციის შესახებ არაფერია ნათქვამი.

ამით გათავდა სამხედრო სექციის მოხსენება, რომელიც მიღებული იქმნა. ბოლოს წაკითხულ იქმნა მთიელთა მთავრობისაგან გამოგზავნილი ქართულ ეროვნულ საბჭოს სახელზედ, სადაც აცნობებს უკანასკნელს მთიელთა ავტონომიის გამოცხადებას.

პასუხის მიცემა მიენდო აღმასრულებელ კომიტეტს.

თავმჯდომარე
მდივანი
სცსსა, ფ. 1836, ანაწ. 1, საქმე 9, ფურც. 31

საქართველოს ეროვნული საბჭო
მე-3-მე კრება
17 დეკემბერი 1917 წ.
ქ. თბილისი

კრებას დაესწრო -- წევრი და 13 კანდიდატი.

აკაკი ჩხენკელი, პრეზიდიუმის წევრნი: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, კონსტანტინე მესხი, პავლე საყვარელიძე.

თავმჯდომარეობდა: აკაკი ჩხენკელი.

კრება დაიწყო დღის 1 ს. 45 წ.

კრება დასრულდა 4 ს. 20 წ.

ბატონი ჩხენკელი ჰხსნის კრებას და აცხადებს წესრიგს:

1. სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა გამგე სექციის მოხსენება;

2. საგარეო საქმეთა სექციისა;

3. მიმდინარე კითხვები.

1. სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა გამგე სექციის სახელით კრებას მოახსენებს სექციის წევრი ბატონი საყვარელიძე:

სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა გამგე სექცია მუშაობს ბატონ აკაკი ჩხენკელის მეთაურობით; ამ სექციის წევრებად გარდა აღმასრულებელ კომიტეტის წევრებისა და სხვა მოწვეულ პირთა ითვლებიან სამაჰმადიანო საქართველოს წარმომადგენელნიც, რომელთაც სექციის მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს; სექციის მუშაობის გასაადვილებლად შრომა გაანაწილა ამ გვარად; საჭიროდ იქმნა ცნობილი თავმჯდომარის სამი ამხანაგის ყოლა: ერთი იქმნება პოლიტიკური კითხვების გამგე, არჩეულია ამ მხარის გამგედ მემედ აბაშიძე, მეორე კულტურული მხარისა - არჩეულია ივ. გომართელი, მესამე ამხანაგის თანამდებობა ჯერ თავისუფალია.

სექციამ საჭიროდ დაინახა სამაჰმადიანო საქართველოში აწარმოვოს მუშაობა ასე: პირველი პოლიტიკური მხარე სამაჰმადიანო საქართველოს მიენიჭოს საკუთარი თვითმმართველობა შინაურს საქმეებში (როგორც ამას მოითხოვს აგრეთვე საქართველოს ეროვნულ 1 ყრილობის რეზოლიუცია). მხოლოდ იგი იქნება განუყოფელი ნაწილი მთლიან რესპუბლიკანურ საქართველოსი; მეორე მხარე - კულტურული: დაარსება შკოლებისა, სამასწავლებლო სემინარია და სხვა. სკოლის საკითხია ამასთანავე ენის საკითხიც, ამიტომ სექციამ მიიღო შემდეგი წესი: მხარე განაწილდეს რაიონებად: იქ, სადაც ოჯახში დედა ენა ქართულია - სწავლება იქნება ქართულს ენაზე, მხოლოდ თათრული ენის სწავლა იქნება სავალდებულო; იქ, სადაც ოჯახში დედა ენა თათრულია, სწავლება იქნება თათრულს ენაზე, მხოლო ქართული ენის სწავლა იქნება სავალდებულო.

სამაჰმადიანო საქართველოს მცხოვრებთ თვითმმართველობის მინიჭება ეცნობებათ მოწოდებით, რომელიც დაბეჭდილი იქნება ქართულად და თათრულად.

შემდეგ საბჭოს წევრებმა მისცეს რამდენიმე კითხვა. მაგალითად: ბატონმა თაყაიშვილმა იკითხა: რაიონი სამაჰმადიანო საქართველოსი სადამდის ვრცელდება? საყვარელიძემ უპასუხა, რომ ეგ კითხვა გადასწყდება გამიჯვნის დროს. ჯერჯერობით კი ბათუმის ოლქი, ახალციხის მაზრაა ნაგულისხმები.

მიხეილ მაჩაბელი: სამხედრო საქმის შესახებ რა არის გაკეთებული სამაჰმადიანო საქართველოში?

ჩხენკელი: დავალებული აქვს სამხედრო სექციას, ჯერ არ ვიცით, რა გაკეთდა ჩვენ ვეცადეთ, რომ შევთანხმებულიყავით და შევერთებულიყავით, ეს მოხდა; ეხლა იგი ჩვენი შინაური საკითხია, სხვებსაც ასე ვეტყვით. ჩვენ სხვა ერებთან სოლიდარობა გვსურს, ესენი კი ჩვენთან არიან განუყრელად.

აკაკი ჩხენკელი ამას გარდა უმატებს მომხსენებლის სიტყვებს, რომ სექციას გაზნრახულ აქვს, გამოსცეს ერთი ორგანო, რომელიც დაიბეჭდება ქართულ თურქულად; ამის გარდა კიდევ მაჰმადიან ქართველებს მისცეს სტიპენდიები ყველა სკოლაში, საშუალო, სატეხნიკო და სხვა.

მიღებულ იქმნა.

2. შემდეგ თავმჯდომარემ, საბჭოს ნებადართვით, სიტყვა მისცა საზავო მოლაპარაკების დესპანს

ბატონ თევზაიას რომელმაც საკმაოდ ვრცელად გააცნო საბჭოს დროებით ზავის ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულობის მსვლელობა.

მიიღო საგულისხმოდ.

კრება დახურულად გამოცხადდა, რადგან კრებას უნდა მოჰხსენებოდა საგარეო საქმეთა სექციის მოხსენება.

გარეშენი გადიან დარბაზიდან, მხოლოდ ესტატე მაჩაბელი თხოულობს, მას ნება დართონ კრებაზე დარჩენისა, საბჭო ნებას რთავს...

ბატონ ჩხენკელის მოხსენება.

აკაკი ჩხენკელი: ჩვენ პირველად მოლაპარაკება გვქონდა **მთიელებთან**. მათ აქვთ თავიანთი მთავრობა; მათი სურვილი იყო ქართველებთან კავშირის შეკვრა, რაც ზედგავლენას მოახდენს ყაზახ რუსებზედ, მათ კი აქვთ ასეთი გავლენა. მათ აინტერესებთ მიწის საკითხი; თუმცა არა ჰყავთ მსხვილი მემამულენი, მაგრამ *„მიწა კი გვჭირიაო, ერთი გზაა, ყაზახების მიწებიდან მოგვეცეს ჩვენცო“*.

ქართველების შესვლა კავშირში სასურველია, მაგრამ დამაბ-რკოლებელ მიზეზებია-სხვათა შორის საზღვრების გაუსწორებ-ლობა; აფხაზების შესახებ თქვეს, რომ - *„აფხაზები თითონ შემო-ვიდნენ კავშირში და ამის იქით [მათთან] უქართველებოთ აღარ დავიჭერთ საქმეს“.* აფხაზთა საკითხი უნდა გადაწყდეს თვით გამორკვევის ნიადაგზე, აგრეთვე ეკონომიური მოსაზრებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ, რადგან მათ [მთიელებს] აინტერესებთ შავს ზღვაზედ გასავალი, ჩვენ უჩვენეთ მათ გასავალი ტუაპსესთან. მათ მიიღეს ეს სახელმძღვანელოდ.

საინგილო-ზაქათალის ოლქი უნდა დარჩეს ამიერკავკასიის ჩარჩოში. მათ უნდა თვითონ. სამხრეთ საზღვარი ჩამოსწიონ დუშე-თის მაზრაში.

[ჩხენკელმა] აგრეთვე მოკლედ მოახსენა სამხრეთ აღმოსავ-ლეთის კავშირის წარმომადგენელთან მოლაპარაკების შესახებ, რომელსაც ინფორმაციული ხასიათი ჰქონდა.

მაჰმადიანთა ცენტრალურ კომიტეტთან დამოკიდებულება გვარიანია. ისინი თხოულობენ ჯარის ნაციონალიზაციას, ჩვენც მხარს ვუჭერთ; გამიჯვნის შესახებ საქმე ძნელდება სომხებთან.

სომხების წარმომადგენლებთან დამოკიდებულება გვაქვს, საერთო მოლაპარაკება არის ხოლმე, მეტადრე სამხედრო საქმის და ფრონტის თაობაზედ მათ მოითხოვეს მობილიზაციის გამოცხა-

დება, მხოლოდ ჩვენ ვურჩიეთ ჯერ არ მოეხდინათ, მხოლოდ სახალხო მილიცია მოეწყოთ, რაზედაც იგინი დაგვთანხმდნენ. ვცდილობთ შეთანხმებით მუშაობას.

უცხო სახელმწიფოთა კონსულებიც იყვნენ ჩვენთან (ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, იტალიის). მოლაპარაკება შეეხებოდა ომისა და ზავის საკითხს. ისინი მოითხოვდნენ, რომ ჩვენმა ჯარმა და სომხების ჯარმა იომოს ოსმალოს წინააღმდეგ. ჩვენ ვუთხარით, რომ ჯარი დაღლილია, რუსის ჯარი მიდის, თქვენ კი მოსაშველებლად შორსა ხართ. იარაღი არა გვაქვს.

ოსები. ოსები გარის მარისა ჩვენთან იქმნებიან, მხოლოდ მათ მიეცემათ ერობის მაგვარი თვითმმართველობა, ამაზე ჩრდილო ოსებიც თანახმა არიან.

შემდეგ გაიმართა ბჭობა მოხსენების გამო:

ნიკო ნიკოლაძემ გამოსთქვა ის აზრი, რომ ჩვენი საზღვარი დარიალის ხეობას უნდა გასცილდეს, ლარსამდის უნდა იყოს მით უმეტეს, რომ ეს აუცილებლად საჭიროა მომავალ საუღელტეხილო რკინის გზისათვის, თუ გვინდა, რომ ამ გზამ სარგებლობა მოგვიტანოს, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გზას. ამ საზღვრიდან არც ერთი ნაბიჯის დათმობა არ შეიძლება.

კონსტანტინე აფხაზმა: საჭიროა გამიჯვნის განხილვის დროს დაესწრნენ სამხედრო პირები, რომელთაც შესწავლილი აქვთ კავკასია რომ სტრატეგიულადაც იქნეს საქმე განხილული.

აკაკი ჩხენკელმა სთქვა, რომ „*ჩვენ მოვიწვევთ ყველა მცოდნე პირთ სექციაში და იქ გამოვიკვლევთ ყოველ მხრივ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას*“.

4. კრებას მოჰხსენდა ამიერკავკასიის კომისარიატის მოწერილობა ორი წარმომადგენლის საადგილ-მამულო კომისიაში გაგზავნის თაობაზე. არჩეულ იქმნენ ხმის უმეტესობით: კონსტანტინე გვარჯალაძე და გრიგოლ რცხილაძე.

5. სამეურნეო სექციაში წევრად ს. დემოკრატების მხრივ. დაინიშნა კონსტანტინე კანდელაკი.

6. მოჰხსენდა კრებას ჰაიდარ ბეგ აბაშიძის ტელეგრამა-კრების რეზოლიუცია და საბჭოს მხარის დაჭერის შესახებ ქობულეთის მცხოვრებთა მიერ.

საგულისხმოდ იქნა მიღებული.

7. **კონსტანტინე აფხაზმა** იკითხა: მუსულმანთა კორპუსის უფროსს მიესალმნენ ჩვენი მხრივ თუ არაო?

როდესაც მიიღო პასუხი, რომ არ იცოდა ჩვენმა სამხედრო სექციამ ეს ამბავი და ვერ მიესალმაო, მაშინ მან განაცხადა, რომ საჭიროთ მიაჩნია სამხედრო პირთა ერთმანეთთან დაახლოვება, რაც იწვევს ხალხის დაახლოვებასაც. მისივე წინადადებაა ზომები იქმნას მიღებული შემდეგისთვის მაინც ამ ნიადაგედ. სამხედრო სექციას დაევალოს, შემდეგისათვის ზომები მიიღოს ურთიერთობის გასამტკიცებლად სხვა ეროვნებათა სამხედრო პირებთან.

სცსსა, ფ. 1836, ანაწ.1, საქ.9, ფურც.32-36;

საქართველოს ეროვნული საბჭო
მე-4 კრება
26 დეკემბერი 1917 წ. ქ. ტფილისი

კრებას დაესწრო 33 წევრი და 9 კანდიდატი.(იხ. ცალკე სია).

თავმჯდომარეობს

თავმჯდომარის ამხანაგი გრიგოლ ვეშაპელი; პრეზიდიუმში არიან: კონსტანტინე მესხი და პავლე საყვარელიძე; ეროვნულ საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი.

კრება დაიწყო საღამოს 7 საათზედ.

თავმჯდომარე: საქართველოს ეროვნულ საბჭოს მეოთხე სხდომას ვხსნი. განსახილველ საგნების წესრიგი შემდეგი: მობილიზაცია, დაწესებულებათა ნაციონალიზაცია, სარევიზიო და საკანტროლო ორგანო და სხვა მიმდინარე კითხვები.

თუ სხვა რამ საგანი აქვს ვისმე სხდომის წესრიგში შესატანი, გთხოვთ განაცხადოთ (სიჩუმე). მაშ მოხსენებული წესრიგი დამტკიცებულია. სიტყვა ეკუთვნის სამხედრო სექციის თავმჯდომარეს ნოე რამიშვილს.

სამხ. სექც. თავმჯდ. ნოე რამიშვილი.

სამწუხაროდ, სამობილიზაციო პროექტები რუსულ ენაზე უნდა მოგახსენოთ, რადგანაც ამ ენაზეა შედგენილი ამიერკავკასიის კომისარიატისადმი წარსადგენად, რომელმაც უნდა გამოაქვეყნოს ეს პროექტები. მოგახსენებთ მცირე განმარტებას. როგორც უწყით, - ქართულ ჯარის კორპუსს ვადგენთ. ეს შედგენა სხვა და სხვა მიზეზების გამო ფერხდება. რუსის ჯარი დაიშალა. ერთათ ერთი საშუალება, რათა დავიცვათ რევოლუციის მოპოვებანი და ქართველ ერის ფიზიკური არსებობა, - ეს არის ძლიერი ჯარის ყოლა. და ამისთვის კი მობილიზაციის მოხდენა გვჭირდება..

პირველი პრ. 19 წ. გაწვევა.

პირველის პროექტით ჯარში 19 წლიანები იქმნებიან გაწვეულნი. ამათთვის არავითარი შეღავათი არ იქმნება გარდა ავადმყოფობისა, ყველა წინანდელი შეღავათი მოსპობილია. აქამდის სისხლის ბეგარა უმთავრესად მშრომელ ხალხს აწვებოდა, რადგანაც ინტელიგენტთა და შეძლებულ კლასების წარმომადგენელნი ამა თუ იმ სახით ახერხებდნენ განთავისუფლებას, რაც თავისთავად აღშფოთებდა ხალხს. 19 წლიანები ჯარისათვის მეტად საჭირო ელემენტია. ეს ნაწილი უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობისგან შესდგება; ისინი, იმედია, ჯარში კარგ გავლენას შეიტანენ. პროექტი მათის გაწვევისა შემდეგია (კითხულობს პროექტს რუსულად და შემდეგ განაგრძობს)

ეს პროექტი ყველა ერს შეეხება, მუსულმანთა გარდა, რადგანაც სამხედრო ბეგარა იმათზე არ არის გავრცელებული. განზრახულია იმათაც ეკითხოთ და თუ თანახმანი იქმნებიან, მაშინ მუსულმანებსაც გაიწვევენ.

მეორე პრ. 32 წლ. გაწვევა.

მეორე პროექტი შეეხება 32 წლიანებს და ამათზე ახალგაზ-რდებს. ერთი ნაწილი ამ კატეგორიისა უკვე ჯარში ნამყოფია და ჯარიდან გაკრეფილი. რუსები, როგორც მოგეხსენებათ, სახლისაკენ გაემგზავრნენ. ასევე მოიქცნენ ქართველებიც. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ როტებში, საცა 200-300 კაცი უნდა იყოს, დარჩა 80 კაცი და ამაზედ ნაკლებიც. ვინც არიან ისინიც დასასვენებლად დავითხოვოთ. ამ რიგად ისეთი მდგომარეობა შეიქმნება, რომ არამც თუ კორპუსს ვერ შევადგენთ, იქნებ აღარავინ დარჩეს რაზმებში ასე რომ ჩვენი ჯარი, შეიძლება, ვეღარავითარ სერიოზულ ძალას ვერ წარმოადგენდეს. კორპუსის შედგენა შეიძლება 19 წლიანების გაწვევით, ყველა დეზერტირების უკანვე დაბრუნებით და აგრეთვე იმ სამხედრო სამსახურს ვალდებულ პირთა მოწოდებით, რომელნიც სახელმწიფო თავდაცვის სხვა და სხვა დაწესებულებაში მსახურობენ.

მომხსენებელი კითხულობს რუსულად მობილიზაციის მეორე პროექტს და შემდეგ განაგრძობს.

უნდა მოგახსენოთ, რომ სომხის ეროვნულმა საბჭომ ამას წინათ მოგვმართა ჩვენ წინადადებით - მობილიზაცია მოგვეხდინა. ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით ამისა, მით უფრო, რომ მათი განზრახვაა დაიცვან ერძინჯანის და ომის სხვა უფრო შორეული ხაზები. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით და ვართ, რომ სამის წლის განმავლობაში ომისგან მოქანცული ხალხი - უდრტვინველად ვერ აიტანდა ახალს სამხედრო ბეგარას, განსაკუთრებით თუ შორეულ ადგილების დაცვას მოვკიდებდით ხელს. როგორც სომხები თხოულობდნენ, ე.ი. ლაზეთ - ტრაპეზუნდის ხაზისას. აი ამ მოსაზრებით ჩვენ უარი ვუთხარით სომხებს მათ წინადადებაზედ. მაგრამ თან და თან მდგომარეობა იცვალა. გამოირკვა, რომ ომის ფრონტი იცლება. გარდა ამისა, თვით შინ უკანასკნელ დროს ისეთი გარემოება შეიქმნა, მაგალითად განჯის ამბები, ბოლშევიკების მოქმედება, რომ ეროვნულ ჯარის გაძლიერება აუცილებელი ხდება დროებით მაინც. თუ ჩვენი ხალხი ტრაპეზუნდის და ლაზეთის დაცვისათვის არ გაემართება, - არა მგონია გულგრილად დარჩეს ვინიცობაა

მტერი ბათუმისკენ გამოილაშქრებს, ან ქუთაისში შემოსვლას დაგვემუქრება. ამასთანავე ხალხს უნდა შევუმსუბუქოთ ახალ ტვირთის გაწევა. ამიტომ განზრახულია - ჯარი ადგილობრივ მაზრებში შესდგეს -, მაგალითად - თელავში, რაჭაში, გურიაში და სხვაგან. მხოლოდ შემდეგში შეიძლება დისლოკაცია შეიცვალოს, რაზმების აქა იქ გადაყვან- გადმოყვანით. ამრიგად - ახალი ტვირთი ხალხისათვის არ იქნება მეტის-მეტად საგრძნობი. მობილიზაციის განხორციელება შეიძლება, თუ ადგილობრივი საბჭოები დაგვეხმარებიან, აუხსნიან ხალხს მოსალოდნელ საფრთხის მნიშვნელობას. და რომ ეს საფრთხე არც უმნიშვნელოა - ეს ჭეშმარიტებაა. გარშემოზღუდული ვართ ისეთის ელემენტებით, რომელნიც სანდონი არ არიან. ვიმეორებ, თუ საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები აგიტაციას გასწევენ, განუმარტავენ ხალხს, რომ ყველა ეს არაჩვეულებრივი ზომაა იმ შემთხვევისათვის, ვინიცობაა მტერი შემოგვესევა და შეიძლება ამ მდგომარეობამ, მხოლოდ რამდენიმე თვე გასტანოს და მერე ჯარი დათხოვნილი იქმნება, - იმედია მობილიზაცია სასურველად ჩაივლის და საშუალება მოგვეცემა კორპუსი შევადგინოთ. ეს - კი აუცილებლად საჭიროა, რადგანაც, როგორც ვხედავთ, ზავი არა ხერხდება, ბოლშევიკების გერმანეთთან მოლაპარაკება ჩაიფუშა, მოსალოდნელია, ამიტომ, ახლო მომავალში ომის ოპერაციების განახლება.

ამ პირობათა შორის ჩვენ არავის იმედი - არ უნდა გვქონდეს გარდა ჩვენის თავისა. რაც უნდა ბევრი ადგილობრივი ჯარი შესდგეს ჩვენი, სომხებისა, ბერძნებისა, მუსულმანებისა - სულ ოთხ კორპუსამდე ძლივს იქმნება იქ, საცა წინად 7-8 კორპუსი იყო. ამის გარდა, ჩვენი მდგომარეობა იმით არის საძნელო, რომ მიმავალ ჯარს თან მიაქვს იარაღი და აქ, ადგილობრივ როდი სტოვებს. ამისთანა გარემოებაში შეუძლებელია თავის დაცვა და რევოლუციის მოპოვებათა შენარჩუნება, თუ მთელი ხალხი არ იქმნა შეიარაღებული. გაიხსენეთ მოხსენება წითელ რაზმისა, როცა ტფილისში ბოლშევიკების გამოსვლა მოხდა. მაშინ, როდესაც რეგულარულმა ჯარმა, - როგორც რუსებმა ისე ქართველებმა, - სრული უმოქმედობა

გამოიჩინა ბოლშევიკების გამოსვლის დროს, - ერთად ერთი წითელი რაზმი იყო არსენალის ხელში ჩამგდები და წესრიგის დამცველი.

გარედან მოსალოდნელ საფრთხის გარდა, - რევოლიუციას განსაცდელი მოელის შინაური ანარქიის გამეფებით. ამიტომ საჭიროა შეიქმნას, მუდმივი ჯარის გარდა ისეთი სამხედრო ძალა, რომელიც შინაურ წესრიგს და ასეთი ძალაა - სახალხო მილიცია, - ე. ი. მთელის ხალხის შეიარაღება.

აშკარაა, - ჩვენთვის შეუძლებელია დიდის ხნით მუდმივ ჯარის შენარჩუნება. ჯარის შენახვა დიდ ხარჯს მოითხოვს. ის აზრიც კი იყო აღძრული რევოლიუციის მოპოებას დაიცავს., - რომ ჯარის კაცთ მისცემოდათ განსაკუთრებული ჯამაგირი - 30-60 მან. მაგრამ ეს წინადადება მიღებული არ იქმნა, რადგანაც, ჩემის აზრით მაშინ ჯარი დაქირავებულ ჯარისკაცთა კრებული იქმნებოდა და არა საყოველთაო ბეგრის საშუალებით შეკრებულ მოქალაქეთა რაზმი.

აი ამისთანა მდგომარეობაში - საუკეთესო საშუალებაა სახალხო მილიციის შედგენა, როგორც სხვა ქვეყნებშია. ამ მიზნით სამხედრო სექციამ შეიმუშავა პროექტი სახალხო მილიციის დებულებისა, რომელსაც ახლავე მოგახსენებთ.

მომხსენებელი კითხულობს რუსულად პროექტს სახალხო მილიციის დებულებისას და შემდეგ განაგრძობს.

აი ასეთია ეს პროექტი. ამ პროექტის განხორციელებით ჩვენ შეგვიძლიან საფუძველი ჩავუყაროთ ქართველ ხალხის შეთანხმების საქმეს და ახლანდელი დრო სწორედ ამისათვის ხელსაყრელია.

თავმჯდომარე: საბჭომ მოისმინა სამი პროექტი. პირველი - 19 - წლიანების ჯარში გაწვევის შესახებ, მეორე - 32 - წლიანების და ამათზე უფრო ახალგაზრდების სამხედრო სამსახურის ვალდებულთა გაწვევის შესახებ და მესამე - სახალხო მილიციის შედგენის გამო. პირველი ორი პროექტი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ არის უკვე მიღებული. მესამე პროექტი აღმასრულებელმა

კომიტეტმა პრინციპიალურად მიიღო, მხოლოდ მისი რედაქცია, რომელიც აქ მოისმინეთ, ეკუთვნის სამხედრო სექციას და აღმასრულებელ კომიტეტს არ განუხილავს. როგორ ინებებთ, - ამ პროექტების ცალ-ცალკე განხილვას თუ საერთოდ. მე მგონია, ჯერ შეკითხვები გამოვარკვიოთ. გვიბრძანეთ - ვის რა შეკითხვა აქვს.

შეკითხვები.

შალვა ამირეჯიბი: განგვიმარტეთ, რა მდგომარეობაშია საქმის მიმდინარეობა ეგრედ წოდებულ „ვოინსკი პრისუტსვიებში“. როგორც ვიცით, მოხდა ჯარის ნაციონალიზაცია. მოხდა ესევე ნაციონალიზაცია ხსენებულ პრისუტსვიებში, თუ არ. ყველამ ვიცით, რა აუარებელი ბოროტმოქმედება სწარმოებდა ამ დაწესებულებებში. ჩვენის ჯარის მობილიზაციას ხალხური მნიშვნელობა და ხასიათი უნდა ჰქონდეს. ამისათვის საჭიროა ამ თავითვე განწმენდილი იყოს ეს პრისუტსტვიები.

გრიგოლ ნათაძე: განზრახული მობილიზაცია დიდმნიშვნელოვანია და ამასთანავე სახიფათო. სახიფათოა იმიტო, რომ ვინიცობაა მისი წესიერად განხორციელება ვერ მოვახერხოთ, რადგანაც ხალხი დაღლილია ხანგრძლივ ომისაგან და შეიძლება ხალისიანათ ვერ გასცეს პასუხი ჩვენს მოწოდებას, მაშინ ეროვნული საბჭო ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება. ამის გამო საჭიროა წინასწარი მომზადება ხალხისა ამ მობილიზაციის ჯეროვან შესაგნებად. არის რაიმე ზომები, ამ მხრივ მიღებული თუ არა.

ექვთიმე თაყაიშვილი: რამდენი კორპუსი გვეყოლება ერთი თუ ორი? ამასთანავე, ვინიცობაა ტყვია- წამალი არ გვეყო, -და შეიძლება ცენტრიდანაც არ მოგვივიდეს, ამ შემთხვევაში არის საამისო თადარიგი თუ არა.

კონსტანტინე აფხაზი: ვარაუდით რამდენის მოკრების იმედი გაქვთ? კერძოდ 19 წლიანების და კერძოდ 32 წლიანებისა და ამაზე უფრო ახალგაზრდებისა?

გიორგი ჟურული: ვისი ხარჯით შეინახება ჯარი? იმედია ხაზინის ხარჯით.

პასუხი შეკითხვებზე.

ნოე რამიშვილი: სამხედრო საკრებულოების შესახებ გადაჭრილ პასუხს ვერ მოგცემთ. რაღა თქმა უნდა, ეს დაწესებულებანი განახლებას ჰსაჭიროებენ. აქა- იქ უფროსები ქართველები არიან.

სექციაში გვქონდა ამის შესახებ საუბარი, მაგრამ, მოგეხსენებათ, ყველაფრის ერთად გაკეთება შეუძლებელია. ბევრგან ძველი შტატებია, ახალი არ შემოგვიღია, მაგრამ ამ მობილიზაციის განხორციელებაში ჩვენ დავემყარებით უფრო ადგილობრივ საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტის დახმარებას, ვიდრე ამ დაწესებულებისას. რაც შეეხება წინასწარ სამზადისს - ეს მხედველობაში გვქონდა და გვაქვს კიდეც. იმედი გვაქს, რომ ამ საქმეში ჩვენ დაგვეხმარებიან როგორც პრესა, აგრედვე რევოლუციონური ორგანიზაციები. ჩვენ უკვე გვქონდა მოლაპარაკება ზოგიერთ სამაზრო და საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენლებთან. ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენლებთან. ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე უფრო შორს მიდიოდა. იგი ამბობდა, - არავითარი მთავრობა არ არსებობსო. საჭიროა, ხალხს თავი ისე ვუჩვენოთ, როგორც ნამდვილ მთავრობას შეჰფერისო. რაღა თქმა [უნდა-ირ.] წინასწარი აგიტაციაა საჭირო. ზოგიერთ პირებს ჩვენ გავგზავნით ხალხში, ადგილობრივ კიდეც აღმასრულებელი კომიტეტები დაგვეხმარებიან, პრესაც ხელს შეგვიწყობს. 15 იანვრამდე იმედია ხალხი მოვამზადოთ მობილიზაციის მისაღებად. ჯერ-ჯერობით ერთი კორპუსის შედგენას ვაპირებთ. მაგრამ თუ ბედმა გაგვიღიმა და მეტი მოგროვდა - მაშინ შეიძლება ორის შედგენას ვეცადოთ.

თოფ-იარაღის და წამლის შესახებ ჯერ-ჯერობით გადაჭრით ვერას ვიტყვით. მთიელთა მთავრობა თურმე აპირებს ამ საქმის ადგილობრივ მოგვარებას. არ ვიცით, - რამდენად შესაძლებელია ეს.

მობილიზაციით მოკრებულთა რიცხვი, ჩვენის აზრით, უნდა უდრიდეს 19 წლიანები - 12. 000 კაცს. ამდენივე უნდა იყოს 32 წლიანების კატეგორია. ერთის სიტყვით სრულ კორპუსის შესად-

გენად 27.000 კაცი გვესაჭიროება. ამ ჟამად მხოლოდ ორი პოლ-კისათვის გვყავს ჯარისკაცობა.

ჯარის შესანახ ხარჯს, რასაკვირველია, მთავრობა გაიღებს. როგორც მოგახსენეთ - აზრია 30- 60 მან. მიეცეს ჯარისკაცთ ჯამაგირად. ფრონტის შტაბის აზრით, ყველანაირი ნივთიერი მოთხოვნილება შეიძლება დაკმაყოფილდეს.

სახალხო მილიცია არავითარ ხარჯს არ გამოიწვევს, რად-განაც მილიციების რაზმები ადგილობრივ იქმნებიან დაბანაკე-ბულნი და მეცადინეობის შემდეგ სახლშივე დაბრუნდებიან ხოლმე. მილიციების მოქმედება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტე-ბის დადგენილებასთან უნდა იყოს შეთანხმებული. მხოლოდ ინსტრუქტორების შესანახი ხარჯი დაგვჭირდება და ამ ხარჯის გაღება საბჭოს მოუხდება.

თავმჯდომარე: რადგანაც შეკითხვები აღარავის აქვს, ახლა საერთო მსჯელობას შეუდგეთ.

გრიგოლ ნათაძე: წეღანაც მოგახსენეთ, შეიძლება ამ მობილიზაციამ სახიფათო მდგომარეობაში ჩაგვაგდოს. ამიტომ ასეთი ზომები უნდა იქმნას ხმარებული, რომ საქმე არ ჩაგვეშალოს.

მე მეშინიან, ვაი თუ ხალხი გულგრილად მოეკიდოს ამ გაწვევას, რადგანაც იგი დაქანცულია და დიდ მსხვერპლ-გაწეული. იგი ვერ გაითვალისწინებს მოსალოდნელ განსაცდელს რომ აღენთოს ეროვნულის გრძნობით. ამიტომ, რაც შეიძლება მეტი ზომები უნდა მივიღოთ, რომ ხალხში შევიტანოთ აზრი და მნიშ-ვნელობა განზრახულის მობილიზაციისა. საჭიროა, სხვათა შორის, პარტიული პროპაგანდა. საჭიროა ხვალიდანვე პარტიული წარმო-მადგენელნი გაიგზავნონ სოფლად; ამის დაყოვნება შეუძლებელია. ეს საქმე რომ ჩაიშალოს - ეროვნულ საბჭოს სახელი და პრესტიჟი დაეცემა. რაც შეეხება თვით პროექტებს - უნდა აღვნიშნო, რომ სამხედრო სექციას ყველაფერი გაუთვალისწინებია. განსაკუთ-რებით საყურადღებოა სახალხო მილიციის შექმნის პროექტი. ეს თუმცა მომავლის საქმეა, მაგრამ მასაც დაჩქარება უნდა. პირველის პროექტის შესახებ საჭიროა განმარტებული იყოს, რომ შეკრებული

ჯარები მაზრებში დარჩება და რომ ეს ჯარები მუდმივი კი არ იქნება, არამედ დროებითი. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ დაღალულ ხალხის თავში ისე ადვილად ვერ მოახდენთ აზრთა ცვლილებას. წინად ყველაფერი ხალხის შესახებ განკარგულება პეტერბურგიდან მოდიოდა და იქნებ ხალხმა სწორედ ასევე მიიღოს ეს ჩვენი განზრახულებაც. ამიტომ ეროვნულ საბჭოს მოქმედება მორალურ გავლენაზე უნდა იყოს დამყარებული. მასას უნდა შევაგნებინოთ, რომ ეს მობილიზაცია თავდაცვის აზრით არის განზრახული. ამასთანავე ჯარში გაწვეულნი ოჯახები უზრუნველყოფილნი უნდა იქმნენ. მე თითონ გამიგონია - ბევრი დეზერტირი აპირებს ჯარში დაბრუნებას, მაგრამ ოჯახები ებრალებათ - რა ვუყოთ ოჯახს, ვინ უპატრონებსო - ასე თურმე ამბობენ. ჩემის აზრით, ამავე პროექტებში უნდა იყოს აღნიშნული ჯარში გაწვეულთა ოჯახების უზრუნველყოფის საშუალებანი. მხოლოდ ამგვარის ომებით შეიძლება მობილიზაციის განხორციელება.

თავმჯდომარე: საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო, რომ ორი პირველი პროექტი გამოცემული იქმნება ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ და კანონის ძალა ექნება. რაც შეეხება ეროვნულ საბჭოს როლს ამ საქმეში, - იგი ცალკე განმარტებას და მოწოდებას გამოსცემს ამავ საგნის შესახებ.

ნიკოლოზ ელიავა: მე ვერც გრიგოლ ნათაძის იმედებს ვიზიარებ. ხალხი დაღალულია ამ ომისგან, იგი ომის განელებას მოელის და თქვენ ახალ მობილიზაციას აცხადებთ. მე ძალიან კარგათ მესმის რაც ამოძრავებს ეროვნულ საბჭოს, მაგრამ ამ პროექტების ცხოვრებაში გატარება არც კომისარიატს, არც ეროვნულ საბჭოს, არც სხვა ორგანიზაციებს არ ძალუთ. ამის გამო მე მგონია მთელი რევოლუციის და რევოლუციონურ ორგანიზაციების ავტორიტეტი არა სასურველ მდგომარეობაში ჩავარდება და ბოლოს ის გამოვა რომ ხალხი - კი არ დაემორჩილება მთავრობას, არამედ მთავრობა ხალხის სურვილს. მე სრულიად უიმედოთ ვუცქერი ამ განზრახულებას. არც რევოლუციის ინტერესი, არც ეროვნულ საბჭოს პრესტიჟი მოითხოვს, რომ მათი ავტორიტეტი დაეცეს ამ შემთხვევაში კი

ასეც მოხდება. ამიტომ მე მხოლოდ ერთ გზასა ვხედავ, - რომ მიღებულ იქმნან ისინი ვინც თავისს სურვილით მოისურვებს ჯარში ჩარიცხვას და ჯარსავე დაუბრუნდნენ დეზერტირები. ასე რომ, ჩემის აზრით პირველი ორი უარყოფილ უნდა იქმნას. რადგანაც მათ თქვენ ვერ განახორციელებთ განზრახულის საშუალებით და სოფლებში ხიმტების შეტანა დაგჭირდებათ. ეს საშინელ ზნეობრივ მდგომარეობაში ჩაგვაგდებს ყველას. მხოლოდ რაც შეეხება სახალხო მილიციის დაარსებას, -ეს უეჭველად მიღებული უნდა იყოს. მოწოდებასთან ერთად უნდა ამოძრავდეს და ამუშავდეს ის აპარატი, რომელზედაც აქ იყო ლაპარაკი.

პავლე საყვარელიძე: ჩვენ შეგვეძლო ამ პროექტის გასა-შუქებლად, ორიოდე სიტყვა წინადვე გვეთქვა ომის და ზავის შესახებ, მაგრამ ეს საკითხი გადატანილია წესრიგის ქვემო ნაწილში, სახელდობრ, მიმდინარე კითხვებს შორის. აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაჭრით გამოსთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, რომ ქართველ ერს ომის გაგრძელება არ შეუძლიან და არც ჰსურს. ამის შესახებ სხვა და სხვა ერებს უკვე ეცნობათ. ისინი მომხრენი არიან ომის გაგრძელებისა. ამ მხრივ ჩვენ ისინი კიდეც გავაფრთხილეთ, გავაცანით რა აღმ. კომიტეტის აზრი. საბჭომ კატეგორიულად უნდა გამოსთქვას, რომ ჩვენ ომის გაგრძელება არ შეგვიძლიან და რაც შეიძლება ზავის ჩამოგდება უნდა დაჩქარებულ იქმნას. სხვათა შორის გადასაწყვეტი იყო, ვინ უნდა გამოსულიყო მოლაპარაკების აგენტად ზავის ჩამოგდების შესახებ. დადგენილ იქმნა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი მოელაპარაკებოდა მთიულთა და უკ-რაინელთა მთავრობათ, რომ მოლაპარაკება ზავის შესახებ საერთო სახელით მომხდარიყო. თუ საერთო მოლაპარაკება არ მოხერხდა მაშინ მარტო ამიერკავკასიის ერების სახელით გაიმართება მოლაპარაკება.

რაც შეეხება მობილიზაციას, - უნდა ვსთქვა, რომ თუმცა ხალხი დაღალულია, მაგრამ მაინც სხვა გზა არ არის. ხალხს არ შეუძლიან სთქვან - დეე მტერი შემოვიდეს და ქვეყანა გაანად-გუროს, მე მაინც ხელს არ გამოვიღებო. მე მგონია ხალხი ამას არ

იტყვის. ჯერ ქართველ ხალხს ნამდვილი ეროვნული ტკივილი არ უგრძვნია ამ ომის განმავლობაში და როცა ამ ტკივილს განიცდის, როცა მის კერას დაქცევას დაუპირებენ იგი იმდენად შელახული არ არის რომ არ აღიძრეს საბრძოლველად. ჩვენ ომი არ გვინდა, ფრონტზე არ ვგზავნით ჯარს, - გვსურს მხოლოდ თავის დაცვა კარზე მომსდგომ მტრისაგან და შინაურ არევ-დარევისგან. საცა გაიხედავთ ცარცვა-გლეჯვაა, კაცის კვლა, საკმაო დარაჯი არ არის, რომ სხვა და სხვა სადარაჯო ადგილები ან სახელმწიფო ქონება დაიცვან. მე არა მჯერა, რომ თუ საკითხი კარგად იქმნება განმარტებული და გამორკვეული ორმილიონიანმა საქართველომ ერთი კორპუსის შედგენა ვერ მოახერხოს. ნიკო ელიავას უიმედობა გადაჭარბებულია.

სხვათა შორის, ამ საკითხთან ერთად საჭიროა განხილულ იქმნას საკითხი ქართველ მაჰმადიანების შესახებ. როცა ომი გამოცხადდა, იმათგან დრუჟინები იყო შედგენილი. მე მაქვს ცნობა, რომ აჭარაში და ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში ქართველ მაჰმადიანთა შორის მუსულმანთა წარმომადგენელნი ხალხსა ჰკრეფდნენ, ფულს აძლევდნენ და განჯაში მიჰყავდათ რაზმებში ჩასარიცხად. ზომები უნდა იქმნას მიღებული, რომ სხვამ არ ისარგებლოს ქართველ მაჰმადიანებით, როგორც სამხედრო მატერიალით. ეს საკითხი პასუხს თხოულობს.

მისაღებელია წინადადება პროპაგანდის შესახებ ამისათვის საჭიროა ნივთიერი საშუალება. საზოგადოებამ უნდა გაიღოს ეს წვლილი, რათა მოხერხდეს პროპაგანდისტების ყველგან გაგზავნა. პოლიტიკურ პარტიებს ხალხი დაუჯერებს. ჩემის აზრით, სამივე პროექტი მიღებულ უნდა იქმნას.

იესე ბარათაშვილი: გთხოვთ კრება ათის წუთით შესწყვიტოთ, რომ ფრაქციებმა თავისთა შორის მოილაპარაკონ ამ საგნის შესახებ. მერე საბჭო მოისმენს თითოეულ ფრაქციის აზრს.

კრების შეწყვეტა.

ნიკოლოზ ქარცივაძე: უკეთესია ჯერ კამათი მოვისმინოთ და მერე გავმართოთ ფრაქციული მოლაპარაკება.

ეროვნული საბჭო თავმჯდომარის შეკითხვაზე - შეწყვეტილ იქმნას კრება თუ არა - ადგენს კრება შეწყვეტილი იქმნას 10 წუთით. ფრაქციების მიერ თავისთა შორის მოსალაპარაკებლად.

კრების გაგრძელება.

კრების გაგრძელებისთანავე თავმჯდომარე წინადადებას აძლევს ფრაქციათა წარმომადგენლებს გამოსთქვან ფრაქციების დასკვნანი.

ფრაქც. წარმ. განცხადება.

სოც. დემოკრ. ფრ. წარმ. ალექსანდრე ლომთათიძე.

ვინაიდან პროექტები მობილიზაციის შესახებ სულ ახალი საქმეა, ხალხი მოუმზადებელია მათ მისაღებათ, დროც საკმარისი არ არის ამ მომზადებისათვის შიში იბადება - ვაი თუ საქმე ჩაიფუშოს, დამარცხებულები დავრჩეთ, - სოც. დემ. ფრაქცია წინადადებას იძლევა, - ორის პირველის პროექტის განხილვა დროებით გადაიდოს, ჯერ ხალხის ფართო მასსა მომზადდეს მათ მისაღებათ პარტიულ ორგანიზაციების საშუალებით და მხოლოდ ამის შემდეგ კვლავ წარუდგინოს იგი პროექტები საბჭოს. რაც შეეხება მესამე პროექტს - სახალხო მილიციის შემოღების შესახებ - საბჭო ახლავე შეუდგეს მის განხილვას.

თავმჯდომარე: რამდენს ხალხს ჰნიშნავთ სამზადისისათვის.

ალექსანდრე ლომთათიძე: ყოველი წამი ძვირფასია და მნიშვნელოვანი. ყოველი ღონისძიება უნდა იყოს ნახმარი, რაც შეიძლება ჩქარა მომზადდეს ხალხი ამ საგნისათვის პრესის და პარტიულ პროპაგანდის საშუალებით.

ივანე გობეჩია: (სოც. რევოლ.) აწინდელი პოლიტიკური მომენტი და საქართველოს განსაკუთრებული მდგომარეობა თხოულობს, რომ სამივე პროექტი ეხლავე იქმნას მიღებული. ამიტომ ჩვენის ფრაქციის სახელით წინადადებას ვიძლევით -პროექტები მიღებულ იყოს და ამასთანავე პარალელურად მოქმედებულ იქმნას ყველა ის ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს ამ პროექტების განხორციელებას.

გიორგი რცხილაძე: (სოც. ფედ.) ჩვენ ანგარიშს ვუწევთ იმ გარემოებას, რომ ახლანდელ პირობებში განზრახული მობილიზაციის განხორციელება გაძნელებულია ხალხის როგორც პსიხიურის ისე ნივთიერის მდგომარეობით. მაგრამ ამასთანავე საქართველოს აწინდელი ვითარება გვაიძულებს - დავაყენოთ შემდეგი საკითხი - აუცილებლად მოითხოვს თუ არა ეს ვითარება, რომ შექმნილ იქმნას დაუყონებლივ რეალური ფიზიკური ძალა რომელიც დაიცავს ერს და სამშობლოს მოსალოდნელ განსაცდელისაგან. და როდესაც ასეთი საკითხი სდგას ჩვენს წინაშე -გვაქს თუ არა უფლება უარვყოთ იგი იმ მოსაზრებით, რომ შესაფერი დრო არ მოგვეპოვება საჭირო პროპაგანდისათვის. რაკი- ღა ჩვენ, - ეროვნულმა საბჭომ, - ვიკისრეთ ხალხის ბედ-იღბლის ხელმძღვანელობა, რომლის არსებობას ამ ჟამად ხიფათი მოელის, - მაშასადამე უნდა კიდეც გადავდგათ ეს ნაბიჯი ამ საფრთხის ასაცილებლად იმისდა მიუხედავად, თუ რა ნაყოფს გამოიღებს იგი და რა მდგომარეობაში ჩააგდებს საბჭოს პრესტიჟს. მე ჩვენის ფრაქციის სახელით სამივე პროექტის მიღებას მხარს ვუჭერ.

გიორგი ჟურული: (ნაც. ფრაქცია) ჩვენმა ფრაქციამ, მიიღო რა მხედველობაში აწინდელი მდგომარეობა, როდესაც ფრონტი ჯარისაგან დაცლილია, და ჩვენს ქვეყანას საფრთხე მოელის როგორც გარედან აგრეთვე შიგნიდან, რადგანაც უკუქცეულ ჯარის ნაწილი საქართველოსაკენ მოიწევს დასარბევად, - საჭიროდ დაინახა შექმნილ იქმნას დაუყონებლივ სამხედრო ძალა არა ომის გასაგრძელებლად, არამედ ქვეყნის მოსალოდნელ საფრთხისაგან დასაცავად. ამის გამო ჩვენი ფრაქცია სამივე პროექტის ახლავე მიღებას მხარს უჭერს თუმცა ამასთანავე იგი სცნობს, რომ მობილიზაციის განხორციელება გაძნელებული იქმნება ომისაგან ისედაც დაქანცულ ხალხისათვის. ამისათვის საჭიროა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სხვა სარევოლიუციო ორგანოებმა გაუშუქონ ხალხის ნამდვილი მნიშვნელობა ჯარის შეკრების ნამდვილი მიზეზი და დანიშნულება.

პავლე საყვარელიძე: (ალიონის ჯგუფი) ჯერ წესრიგის შესახებ მოგახსენებთ. ჩემის აზრით, საკმარისი როდია ერთი რომელიმე ფრაქციის განცხადება ამა თუ იმ საგნის მოხსნის შესახებ, რომ კენჭი ეყაროს - მოიხსნას თუ არა ეს საგანი. აქ ხომ ინტერპარტიული საბჭო არ არის. აქ ეროვნული საბჭოა, სადაც კითხვები საერთოდ უნდა განიხილებოდეს.

რაც შეეხება თვით პროექტებს, - ალიონის ჯგუფი იმ აზრისა, რომ პირველი ორი პროექტი სჯობიან დროებით მოიხსნას. საჭიროა ასეთი კითხვები ერთსულოვნად სწყდებოდეს აქაც და თვით ხალხშიაც. ამას კი მაშინ მივაღწევთ, როდესაც პრესის და ხელმძღვანელ პარტიათა პროპაგანდის საშუალებით ხალხი მომზადებული იქმნება ამ კითხვების მისაღებად.

გიორგი ჟურული: ამ ხელად პირად ჩემს აზრს მოგახსენებთ. რადგან ჩვენი ფრაქცია ხაგზასმით აღნიშნავს პირველ ორ პროექტის განხორციელების სიძნელეს, - მე მგონია, იგი წინააღმდეგი არ უნდა იყოს, რომ ეს პროექტები დროებით გადაიდოს, ხალხი მომზადდეს მათ მისაღებათ და ამ თავად მიღებულ იქმნას პროექტი სახალხო მილიციის დებულებისა.

შალვა ალექსი - მესხიშვილი: აქ წინადადებაა შემოტანილი, რომ სამობილიზაციო პროექტები მოიხსნას, რათა წინასწარ პრესის და ორგანიზაციების საშუალებით ხალხი მომზადდეს მათ მისაღებად. თუ ამ გზას დავადგებით, მაშინ ყველა პარტიისათვის და მათ ორგანიზაციებისათვის სავალდებულო უნდა იყოს - ამ იდეის ხალხში გატანა. მხოლოდ, რადგანაც მდგომარეობა ისეთია, რომ ყველაფერი ეს აჩქარებით უნდა იქმნას მოქმედებული, -საჭიროა დრო განვსაზღვროთ, რომლის განმავლობაშიაც განვახორციელებთ ამ წინასწარ სამზადისს. ამასთანავე, ჩემის აზრით, ხელსაყრელი იქმნება ეროვნულმა საბჭომ მიიღოს ახლავე ეს პროექტები არა როგორც დეკრეტები, არამედ როგორც ხალხში გასავრცელებელი დებულებანი.

ალექსანდრე ლომთათიძე: როცა ჩემს განცხადებას ვადგენდი, მე საგნის ყველა მხარე მქონდა მხედველობაში, სხვათა შორის

პრინციპიალური მხარეც. ჯერ თავის თავად პრინციპიალური საკითხი უნდა გადასწყდეს - მიღებული უნდა იყოს თუ არა წინადადება მობილიზაციის მოხდენის შესახებ, მაგრამ უმჯობესია საგნის ამა თუ იმ საკითხს ამჟამად არ შევეხოთ. ყველა ამ საკითხების განხილვა წინასწარ ხელმძღვანელ პარტიულ წრეებში უნდა მოხდეს და შემდეგ აქ გადავსწყვიტოთ იმის და მიხედვით, თუ როგორ იქნება საკითხი დაყენებული. ამ რიგობაზედ პროექტები უნდა მოიხსნას.

ნიკოლოზ ქარცივაძე: თავიდანვე მომხრე ვიყავი ამ პროექტისა, ახლაც მომხრე ვარ. მხოლოდ მგონია, რომ ვინიცობაა ეს პროექტები ერთსულოვნად არ იქმნა აქ მიღებული და მათ გარშემო კამათი ასტყდა, - მაშინ მათი ცხოვრებაში გატარება ვერ მოხდება. განა შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ რაკი ნაციონალურ-დემოკრატიული ფრაქციაა მომხრეა ამ პროექტებისა, - ამიტომ ყველა ნაციონალურ-დემოკრატიც მომხრე იქნება. ასევე ითქმის დანარჩენ პარტიებზედაც. ამის გამო საჭიროა ყველა ხელმძღვანელ პარტიების ორგანოთ დავეკითხოთ. უმჯობესია, პროექტები დროებით მოვხსნათ, ჯერ პარტიულ ორგანიზაციებში გავატაროთ და მერე, როდესაც ხალხში ნიადაგი მომზადებული იქმნება მათ მისაღებათ, - მივიღოთ განსახორციელებლად. დროს განსაზღვრა მომზადებისათვის შეუძლებელია და საჭიროც არ არის, რადგანაც ყოველი ჩვენგანი გრძნობს რომ დაყოვნება ერთის წუთითაც არ შეიძლება.

ნოე რამიშვილი: აშკარაა, ეს საქმე პასუხსაგებ მნიშვნელობისაა. აქ თუ თითო-ოროლა პირს ამ პროექტების განხორციელება მძიმე საქმედ მიაჩნია, - რაღა თქმა უნდა, როცა ხალხში გავიტანთ, იქ ბევრი ჩვენი მოწინააღმდეგე ისარგებლებს ამ სიბნელით და ხელს შეგვიშლიან.

ამ საქმეს აწონ-დაწონა უნდა. რაკი აქ ისეთი ხმები მოისმის, რომ საჭიროა წინასწარ პარტიულ ორგანიზაციებში იყოს პროექტები განხილული და გატარებული, - ერთად ერთი გზაა - დროებით მოვხსნათ პროექტები განხილვისაგან, ვიდრე პირობები შეიცვლებოდეს. წინასწარის მომზადების ორი დღით განსაზღვრა შეუძ-

ლებელია. იმ დროს განმავლობაში ვიდრე ეს სამზადისი დასრულ-დებოდეს, - ჩვენ სახალხო მილიციის საქმის განხორციელებას შეგ-ვიძლიან შევუდგეთ.

გიგო რცხილაძე: უნდა მოგახსენოთ, სრულიად სამართლი-ანია ის, რაც პავლე საყვარელიძემ სთქვა ინტერპარტიულ საბჭოს და ეროვნულ საბჭოს სხვადასხვაობაზედ. ეროვნულ საბჭოში საჭიროა საერთო მსჯელობა და დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, -თუ ამა თუ იმ საკითხს რამდენი გამოექომაგება. საერთოდ - კი ხელსაყრელია, განსახილველ პასუხ საგები პროექტები წინასწარ საბჭოს წევრთ ეგზავნებოდეთ, რომ პარტიულ ორგანიზაციებში იხილებოდეს და შემდეგ აქ წარმოსდგებოდეს. დახურულ ოთახებში ფრაქციების მსჯელობა და მერე გადაწყვეტილების განცხადების სახით წარ-მოდგენა - თავმდები როდია საქმის სამართლიან გადაწყვეტისა. სა-ჭიროა დასაბუთებული მოსაზრებანი. აღსანიშნავია ის აზრთა წინააღმდეგობა, რომელმაც აქ იჩინა თავი. ალ. ლომთათიძემ პირ-ველ თვის განცხადებაში - სთქვა, რომ პროექტების მოხსნა საჭიროა ხალხის მოსამზადებლად. ხოლო მეორე თავის განცხადებაში - აღიარა, რომ საგანი პრინციპიალურად უნდა იყოს დაყენებულიო. რაც შეეხება პრინციპიალურ მხარეს ვაცხადებ, რომ თუ ეს საკითხი მუდმივ ჯარის ყოლას შეეხება, - ჩვენ ყოველთვის წინააღმდეგი ვი-ყავით და ვიქნებით მუდმივ ჯარისა და მომხრე სახალხო მილი-ციისა. მაგრამ ამ ჟამად ჩვენ წინ სულ უბრალო საკითხი სდგას, სახელდობრ ისა, - იცდის თუ არა ქვეყნის საჭიროება, რომ სახალხო მილიცია დავაარსოთ და მარტო ამ საშუალებით გავცეთ პასუხი კარზე მომდგარს განსაცდელს. ვაი თუ ასეთი გადაწყვეტა ძვირად დაუჯდეს ქართველ ერს და საქმის გადადება კატასტროფით გათავდეს როდის იქნება ხალხი აღზრდილი და მომზადებული, რომ თავისის სურვილით შექმნას ის რეალური ფიზიკური ძალა, რომელიც ახლავე გვჭირდება. ახლო მომავალში ამის იმედი არ უნდა გვქონდეს იქნება, როცა ის ჯარი შესდგება - მაშინ იგი საჭიროც აღარ იყოს. სრული თანახმა ვარ იმისა, რომ ამ საქმეში ერთსულოვნებაა საჭირო - და თუ ერთ-ერთი უძლიერესი ჯგუფი

უარზეა დასტური მისცეს ამ პროექტებს, - მაშინ მოხსენით ეს პროექტები, - მაგრამ ჩვენი რწმენა მაინც ის იქნება რომ ამ საქმეში დაყოვნება საფრთხილოა. მხოლოდ ამასთანავე ყოველი ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული, რომ ხალხის მომზადება სასწრაფოდ იყოს განხორციელებული.

კამათის მოსპობა.

პავლე საყვარელიძე: წინადადება შემომაქვს -კამათი მოისპოს.

თავმჯდომარე: წინადადებაა კამათის მოსპობის შესახებ. ვინ არის წინააღმდეგი კამათის მოსპობისა. მხოლოდ ერთია - მაშასადამე ამ საგნის შესახებ კამათი მოსპობილია.

პირველ ორ პროექტის მოხსნა.

საბჭომ მოისმინა სამი პროექტი. ერთი - 19 წლიანების გაწვევის შესახებ, მეორე - 32 წლიანებისა და მესამე -სახალხო მილიციის დაარსების შესახებ. სოციალდემოკრატიულ ფრაქციას წინადადება შემოაქვს პირველი ორი პროექტი დროებით მოხსნილი იყოს, მესამე - კი ახლავე განხილული.

ეროვნული საბჭო ერთხმად სწყვეტს ორი პირველი პროექტი დროებით მოიხსნას.

პროეკტი სახალხო მილიციის დებულებისა.

თავმჯდომარე.

გვრჩება განსახილევლად პროექტი სახალხო მილიციის დებულებისა. ამ საგნის შესახებ პირველად საბჭო მოისმენს ზოგად მსჯელობას.

ექვთიმე თაყაიშვილი: პროექტი სახალხო მილიციის შესახებ რომ მივიღოთ, - დანარჩენ ორი პროექტის განხორციელება შემდეგში ძალიან გაგვიჭირდება, რადგანაც ყველა სახალხო მილიციაში ჩაეწერება. ნამდვილის ძალის შედგენა მხოლოდ სამივე პროექტის განხორციელებით შეიძლება. ამიტომ რაკი პირველი ორი პროექტი მოხსენით, - მაშასადამე უნდა მოიხსნას აგრეთვე პროექტიც სახალხო მილიციის შესახებ. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ

ქართველი ერი ღვთის ამარად რჩება. რუსი ჩვენ არ დაგვიფარავს, არც პროლეტარიატი ...

(თავმჯდომარე ზარსა რეკავს)

დიდი განსაცდელის წინაშე ვდგევართ. საჭიროა დაუყონებლივ სამხედრო ძალის შედგენა. ეს იმას როდი მოასწავებს, რომ ვისმეს ბრძოლას ვუპირებთ. ეს მხოლოდ თავის დაცვის სურვილია და სხვა არაფერი. ჩემის აზრით სამივე პროექტი უნდა განხორციელდეს, ცალ-ცალკე მათი სისრულეში მოყვანა შეუძლებელია. სამივე პროექტი ერთად უნდა წარედგინოს კომისარიატს.

ნოე რამიშვილი: უბრალო გაუგებრობაა პროექტს მილიციის შესახებ კომისარიატი როდი გამოაქვეყნებს. ეს პროექტი ეროვნულ საბჭოს სახელით იქმნება განხორციელებული. სახალხო მილიციის დაარსება სრულიადაც არ შეუშლის ხელს პირველ ორი პროექტის განხორციელებას. ამ შემთხვევაში შიში უადგილოა.

ივანე გობეჩია: პროექტი მუხლობრივ განვიხილოთ.

პავლე საყვარელიძე: ჯერ საბჭომ პრინციპიალურად უნდა გადასწყვიტოს საკითხი მილიციის შემოღების შესახებ და მხოლოდ შემდეგ შეგვიძლიან მუხლობრივ განხილვას შევუდგეთ.

კამათის მოსპობა.

თავმჯდომარე: ვინ არის კამათის მომხრე გთხოვთ ხელი ასწიოთ.

უმრავლესობა კამათის მოსპობის მომხრეა და თავმჯდომარე აცხადებს, რომ კამათი ზოგად საგნის შესახებ მოსპობილია.

მიხეილ მაჩაბელი: იქმნება, მართლა სახალხო მილიციის წინასწარმა შემოღებამ დააბრკოლოს კორპუსის შედგენის საქმე. მიეცით სამხედრო სექციის წევრებს საშუალება საგნის გაშუქებისა.

ნოე რამიშვილი: ამ საგნის შესახებ მე პასუხი უკვე გავეცი. ამის გარდა კამათი უკვე მოსპობილია.

თავმჯდომარე: ვიდრე სახალხო მილიციის დებულების პროექტის მუხლობრივ განხილვას შევუდგებოდეთ, - მე სამხედრო სექციის წევრებს უფლებას ვაძლევ -გამოარკვიონ - შეუშლის თუ

არა სახალხო მილიციის წინასწარი შედგენა კორპუსის შედგენას. ერთმა წევრმა დაიცვას ეს დებულება, მეორემ კი უარჰყოს იგი.

დავით ვაჩნაძე: (სამხ. სექციის წევრი). ის ფაქტი, რომ სამივე პროექტი სამხედრო სექციამ ერთდროს და ერთსულოვნად მიიღო, იმის მაჩვენებელია, რომ მათ შორის მჭიდრო კავშირია და რომ სამივე პარალელურად უნდა იქმნას განხორციელებული. სამხედრო სექციას არა ჰქონია აზრად რომ შესაძლებელ იქმნებოდა ორი პირველ პროექტის მოხსნა და მესამის ახსრულებაში მოყვანა. სამივე პროექტი აღმასრულებელმა კომიტეტმა, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, - ერთხმად მიიღო, რაც ისევ იმავ კავშირის მაჩვენებელია. ახლა ირკვევა ფრაქციების აზრი ამ პროექტების შესახებ სულ სხვა სახით, ვიდრე სექციას და აღმასრულებელ კომიტეტს ჰქონდა გათვალისწინებული. აქამდის ხალხში ის აზრი ტრიალებდა, რომ საჭიროა კორპუსი შესდგეს. ახლა, როცა სახალხო მილიციის დაარსებას შევუდგებით -ყველა ისე გაიგებს, რომ კორპუსი საჭირო აღარ არის და იმის მაგიერობას მილიცია გასწევს. თუმცა დიდი მომხრე ვარ სახალხო მილიციის დაარსებისა, მაგრამ იმ აზრისაც ვარ, - რომ სანამ კორპუსი არ გეყოლებათ - მილიციის განხორციელება, როგორც ნამდვილ სამხედრო ძალის, შეუძლებელია. სწორედ ეს კორპუსი გაამაგრებს ამ მილიციას, იგი მისცემს მას იარაღს და მოუმზადებს საჭირო მასალას, რომელსაც ამ ჯარის დაშლილობის დროს დაპატრონება სჭირიან. ეჭვ გარეშეა, წინასწარი დაარსება მილიციისა ძირშივე ჩაჰკლავს კორპუსის შედგენის საქმეს. აქამდისაც ძლივს ვაჩერებდი ჯარში მყოფ, ახლა ხომ არავითარი იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ფრონტებიდან დაბრუნებული ჯარის კაცნი ახლოს მოგვეკარებიან, ყველანი სოფლად წავლენ და იქ მილიციაში ჩაირიცხებიან. ჩემის აზრით, უწინარეს ყოვლისა კორპუსი უნდა შესდგეს და მილიციაში მხოლოდ დამატებითი ძალები ჩაირიცხოს. თორემ მეშინიან ეგრედ წოდებული ტრიშკას ფარაჯა არ გამოვიდეს ჩვენი სამხედრო ძალის შედგენა.

ნიკოლოზ ქარცივაძე: (სამხ. სექც. წევრი.): ფაქტიური განმარტება მსურს მოგახსენოთ როდესაც სამხედრო სექციაში სახალხო

მილიციის დაარსების შესახებ აღვძარით საკითხი, მაშინ პროექტი მობილიზაციის შესახებ ყურადღებაში არა გვქონია საკითხი ამ პროექტების შესახებ ორის დღის შემდეგ აღიძრა ასე რომ პირდაპირი კავშირი მათ შორის არა ყოფილა. მილიციაში ჩაირიცხებიან ისინი, ვინც პირველის ორის პროექტის გაწვეულნი არ იქმნებიან რეგულიარულ ჯარში სამსახურასთვის. ამრიგად ერთი მეორეს არ დაუშლის.

თავმჯდომარე: საჭიროდ ვრაცხ განვმარტო რამდენადაც საკითხი აღმასრულებელ კომიტეტის გარდაწყვეტილებას შეეხება, რომ როდესაც სომხებს კატეგორიული უარი ვუთხარით მობილიზაციის შესახებ, მაშინ კომიტეტის უმრავლესობა სახალხო მილიციის დაარსების მომხრე იყო. საკითხი მობილიზაციის შესახებ თვით სამხედრო სექციაში აღიარა.

ნოე რამიშვილი: პირველად მიღებული იყო აზრი სახალხო მილიციის დაარსების შესახებ რაც დაადასტურა აღმ. კომ. შემდეგ საკითხი მობილიზაციის მოხდენის გამო გადავწყვიტედ სრულიად დამოუკიდებლად სახალხო მილიციის პროექტისგან. აქედან თქვენ დაინახავთ, რომ ამ პროექტებ შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს ამ რიგად ჩვენ ლოგიკის ფარგლებში ვმოქმედობთ.

დავით ვაჩნაძე: ამ საგანს ისტორიულ მხარის გარდა, აქვს აგრეთვე ლოლიკური მხარეც. როდესაც ჩვენ ვმსჯელობდით ამ სამივე პროექტის შესახებ - ბუნებრივად მათ ერთმანეთს ვუკავშირებდით და პირველ რიგში ვაყენებდით კორპუსის შედგენის საქმეს.

პავლე საყვარელიძე: 9 დეკემბერს აღმასრულებელ კომიტეტში სომხებს მობილიზაციის შესახებ უარი ვუთხარით და გადავწყვიტეთ მილიციის დაარსება. ამის შესახებ ეროვნულ საბჭოს კრებაზე იყო უკვე მოხსენებული და საჭიროა გვახსოვდეს ხოლმე ის, რაც კეთდება, თორემ არევ-დარევას თავს ვერ დავაღწევთ.

გიორგი გვაზავა: დავით ვაჩნაძემ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას მიაქცია ყურადღება და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ ჯარი იშლება - სთქვა მან - და საჭიროა სათანადო სამხედრო ძალა, რომ იარაღს და სამხედრო მასალას პატრონი ჰყავდესო თუ ამ ქო-

ნებას არ ჩავიბარებთ, მაშინ მილიციასაც ვერ შევადგენთ. ამრიგად კორპუსის შედგენის გადადებამ ვაი თუ მილიციის დაარსების საქმეც შეაფერხოს.

შალვა ამირეჯიბი: დაგვამშვიდეთ, აგვიხსენით - კორპუსი ისპობა თუ იარსებებს, მიუხედავთ სამობილიზაციო პროექტების გადადებისა.

ნოე რამიშვილი: კორპუსი არსებობს. ყოველი ღონისძიება იქმნება მიღებული, რომ იგი შესდგეს. როცა დავინახავთ, რომ არავინ არის კორპუსის შესადგენად - პროექტებს მობილიზაციის შესახებ მით უფრო ადრე წარმოვადგენთ განსახილველად.

გიორგი გვაზავა: წინადადება შემომაქვს პროექტი სახალხო მილიციის შესახებ გადაიდოს, რაკი პირველი ორი პროექტი მოიხსნა.

თავმჯდომარე: წინადადებაა მესამე პროექტიც გადაიდოს. წინადადებას ვიძლევი - ერთმა ორატორმა დაიცვას პროექტის ახლავე განხილვა, - მეორემ გადადება.

ალექსანდრე ლომთათიძე: მე ამ პროექტის გადადების წინააღმდეგ ვილაპარაკებ. არავითარ საბუთს იმისას, რომ პროექტი სახალხო მილიციის დაარსების შესახებ გადადებულ უნდა იყოს, მე ვერა ვხედავ. აქაო და სამობილიზაციო პროექტები გადაიდოო - ეს პროექტიც უნდა მოიხსნასო. აშკარად გამოირკვა, რომ ეს პროექტები ერთი - მეორეს დამოუკიდებლად არის შემუშავებული და მიღებული აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. მათი განხორციელება უერთმანეთოდ შესაძლებელია და ერთმანეთს ზიანს არ მოუტანენ. სახალხო მილიციის სახით ჩვენ ვადგენთ ახალ სამხედრო ძალას და ამ პროექტის აღსრულება ადვილი შესაძლებელია, იგი ტვირთად არავის დააწვება. თუ რამ ცვლილება იქმნება საჭირო სახალხო მილიციის დებულებაში სამობილიზაციო პროექტების მიხედვით, - ადვილად შეიძლება შესწორება შემდეგში. ამრიგად ეს პროექტი მიღებულ უნდა იქმნას.

გიორგი გვაზავა: მე დავიცავ წინადადებას პროექტის მოხსნის შესახებ.

საბჭოს გადაწყვეტილება

თავმჯდომარე: თქვენ უკვე გამოსთქვით აზრი ამის შესახებ. ასე რომ საგანი გამორკვეულია, გთხოვთ ვინც მომხრეა იმისა, რომ პროექტი სახალხო მილიციის შესახებ გადაიდოს - ხელი ასწიოთ. ხუთია ამის მომხრე. მაშასადამე უმრავლესობა მომხრეა პროექტის მიღებისა. ახლა მუხლობრივ განხილვას შევუდგებით.

მუხ. განხილვა. პროექტისა.

თავმჯდომარე კითხულობს (რუსულად) პროექტს მუხლობრივ.

სათაურს და პირველს მუხლს საბჭო ერთხმად და უკამათოდ იღებს.

მეორე მუხლი იწვევს კამათს იმ ნაწილის შესახებ, რომელიც განმარტავს, რომ რეგულიარულ ჯარში სამსახურს ვალდებულ პირთ არ შეუძლიან მილიციაში ჩარიცხვა.

კამათის შემდეგ - საბჭო ადგენს ამ მუხლის საბოლოო რედაქციის შემუშავება მიანდოს სამხედრო სექციას.

მიხეილ მაჩაბელი წინადადებას იძლება მილიციაში მონაწილედ 16 წლისანიც მიიღებოდნენ.

საბჭო ადგენს მილიციაში მიღება 17 წლიდან იწყებოდეს.

მესამე მუხლი მიღებულია უკამათოდ.

მეოთხე მუხლის ტექსტიდან საბჭო ადგენს გამოტოვებულ იყოს სიტყვა „მახლობელ“ **(ближайщих)** და მუხლის დასაწყისში შეტანილ იქმნას: „ყოველ ქალაქში“ **(в каждый город)**

მეხუთე მუხლი მიღებულია ინსტრუქტორთა წლოვანების ცენზის გამოტოვებით.

მეექვსე მუხლი იწვევს კამათს.

გრიგოლ რცხილაძე იმ აზრისაა, რომ ეს მუხლი მთლიანად უნდა იყოს გამოტოვებული.

ნიკოლოზ ელიავა ამ გამოტოვების წინააღმდეგია, და ამტკიცებს, რომ მილიციის კონტაქტი მუშათა და გლეხთა საბჭოდაგან, როგორც სარევოლიუციო ორგანიზაციებთან, აუცილებლად საჭიროა.

საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით მეექვსე მუხლი უცვლელად რჩება.

მეშვიდე მუხლი.

იოსებ დადიანი იმ აზრისაა, რომ მეცადინეობის პროგრამა ცენტრში უნდა იქმნას შედგენილი.

საბჭო იღებს ამ მუხლს იმ შესწორებით, რომ მეცადინეობის პროგრამას ადგენს. ეროვნულ საბჭოს სამხედრო სექცია.

მერვე მუხლი - მიღებულია უკამათოდ,

მეცხრე მუხლი.

გერონტი ქიქოძე იმ აზრისაა, რომ სწავლის ვადა უნდა იყოს განსაზღვრული. მაგალითად შვეიცარიაში პირველ წელიწადს 6 კვირაა, შემდეგ წლებში ამაზე ნაკლები.

ნოე რამიშვილი: ამ ჟამად ძნელია ვადის განსაზღვრა. თითონ პრაქტიკა გვიჩვენებს რა და რა ნორმები მივიღოთ. ქალაქებში ვერ გამოვიწვევთ, რადგანაც კვებაა საჭირო.

მეცხრე მუხლი მიღებულია იმ პირობით, რომ მისი დეტალიზაცია მიენდოს სამხედრო სექციას. ამასთანავე სიტყვები „აქ რუსულად“ შეიცვალოს სიტყვებით „ აქაც რუსული“.

მეათე და მეთერთმეტე მუხლი სამხედრო სექციის თავმჯდომარის წინადადებით სრულიად გამოტოვებულ იქმნა, რადგანაც ეს მუხლები საინსტრუქციო დებულებებს შეიცავს.

მუხლობრივი განხილვა დასრულებულია.

საერთო შენიშვნა.

გრიგოლ რცხილაძე იძლევა საერთო შენიშვნას. მისის აზრით საჭიროა ეს დებულება შემუშავებულ იქმნას კანონის სახით რომ მას დეკლარაციული ხასიათი არ ჰქონდეს. ამასთანავე განმარტებული უნდა იყოს, სახელდობრ თუ ვინა ჰკრებს მილიციას, ვინ ადგენს სიებს და აგრეთვე განსაზღვრული უნდა იყოს თვით დრო მილიციის შედგენისა.

ნოე რამიშვილი: გრიგოლ რცხილაძე მართალია. სამხედრო სექცია შეიმუშავებს ყველა ამას და აღმ. კომ. მოახსენებს.

პროექტის მიღება.

დასასრულ ეროვნული საბჭო ერთხმად იღებს შესწორებულ დებულების პროექტს.

დანარჩენ საკითხების გადადება.

ეროვნული საბჭო იღებს აღმასრულებელ კომიტეტის საქმეთა მმართველ პავლე საყვარელიძის წინადადებას დაგვიანების გამო დანარჩენი კითხვების განხილვა შემდეგისათვის გადაიდოს.

კრებას თავმჯდომარე სწყვეტს ღამის 10 საათზე და 45 წამზე.

სცსსა, ფ.1836, ანაწ.1, საქ.5, ფურც. 003-028.

საქართველოს ეროვნული საბჭო
მე- 5 კრება
1917 წ. დეკემბრის 30 დღ. ქ. ტფილისი

პრეზიდიუმის და კრებას დაესწრო 27 წევრი და 8 კანდი-დატი.(იხ. ცალკე სია).

თავმჯდომარეობს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია; პრეზიდიუმში არიან: აკაკი ჩხენკელი, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი ლასხიშვილი, პავლე საყვარელიძე; ეროვნულ საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი.

კრება ნაშუადღევის 1 საათ. და 25 წ. დაიწყო.

დასრულდა -4 საათ. და 55 წ.

კრების წესრიგი -თავმჯდომარე- კრებას განსახილველი აქვს ორი სამობილიზაციო პროექტი და აგრეთვე საკითხი რუსეთში მიმავალ ჯარების ეშელონების ბათუმის გზით გამგზავრების შესახებ. ამის შესახებ ჩვენს აზრს კითხულობენ. სხვა საგანი ხომ არავისა აქვს წესრიგში მოსაქცევათ.

განცხადება ოქმების შესახებ.

სამსონ დადიანი: წარსულ კრების ოქმები რატომ არ მოჰხსენდა საბჭოს.

შალვა მიქელაძე: საჭიროა კრების დასაწყისში საბჭოს მოჰხსენდეს ხოლმე წინანდელი კრების ოქმი, თორემ რაც დრო გადის მეხსიერებიდან იკარგება ის რაც კრებაზე იყო ნათქვამი და აღდგენა ოქმის სისწორისა გაძნელდება.

პავლე საყვარელიძე: (აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველი). ოქმები შავად არის შედგენილი. რადგანაც სათანადო ბლანკები არა გვაქს, სტამბამ ვერ მოგვისწრო, - ჯერ-ჯერობით ვერ გადავათეთრებთ. შემდეგ კრებაზე საბჭოს მოჰხსენდება ხუთი კრების ოქმი.

თავმჯდომარე: ოქმებს ჯერ პრეზიდიუმი განიხილავს და მერე საბჭოს ეცნობება.

განცხადების შემომტანნი ამით დაკმაყოფილდნენ.

მობილიზაც. პროექტები.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის სამხედრო სექციის თავმჯდომარეს ნოე რამიშვილს.

ნოე რამიშვილის განმარტება.

ნოე რამიშვილი: თქვენ უკვე მოისმინეთ მოხსენება სამობილიზაციო პროექტების შესახებ. არ შევუდგები იმის გამეორებას, რაც უკვე ითქვა. როგორც მოგეხსენებათ ჩვენი პროექტების გადადება გამოიწვია უმთავრესად იმ მოსაზრებამ, რომ ხალხი მომზადებული არ არის ახალ მობილიზაციის განსახორციელებლად და საჭიროა ამისთვის უწყებული წინასწარი მუშაობა. გვეშინოდა, რომ უიმისოთ - უფრო უარესს მდგომარეობაში არ ჩავცვივნილყავით, ვინიცობაა ხალხი შეგნებით არ მოეკიდებოდა ჩვენს მოწოდებას.

ამ დროის განმავლობაში ჩვენ მოვიწვიეთ სხვა და სხვა სარევოლიუციო ორგანიზაციები, - ადგილობრივი და პროვინციებიდან. პირდაპირის მავთულით გამოველაპარაკეთ ქუთაისის ადმინისტრაციას, გურიის და სხვა კუთხების აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენელთ. მათ უკვე დადგენილი ჰქონიათ გაეტარებინათ ცხოვრებაში განზრახული მობილიზაცია, თუ ჯარის მოწვევის ვადა შემოკლებული იქმნებოდა. ამ პროექტებით წინანდელი წესი ძირიანად შეცვლილია. მობილიზაცია იქმნება მოკლე ვადიანი - იმ

მოსაზრებით, რომ ხალხს საშუალება მივცეთ მუდმივ ჯარის ყოლისაგან გადავიდეს სახალხო მილიციის წესზე.

როგორც მოგეხსენებათ, სახალხო მილიციაში ჩაირიცხებიან - 18 წლიდან მოყოლებული - 40-50 წლამდე იმათ გარეშე, ვინც რეგულიარულ ჯარში არ მსახურობს. მაგრამ, სანამ სახალხო მილიციას შევადგენთ ჯარის ყოლა აუცილებელი ხდება, რათა დავიცვათ რევოლიუციის მოპოვებანი და შინაური წესრიგი. რაც დღე გადის - ანარქია თან და თან უფრო ვრცელდება და ჩვენს ქვეყანასაც ედება.

დღეებში განჯის ამბებმა იჩინა თავი და ჩვენთვისაც საფრთხეს ამზადებს. ეროვნულმა საბჭომ უკვე რამდენჯერმე გამოსთქვა ის აზრი, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ომის გაგრძელება. უკიდურესს შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით დავიცვათ ჩვენი ქვეყნის საზღვრები. საჭიროა, რაც შეიძლება მალე ჩამოვარდეს ზავი. ასეთი დადგენილება მიიღეს სამხედრო სექციამ და აღმასრულებელმა კომიტეტმა.

მაშასადამე, ის ჯარი, რომელსაც ჩვენ შევკრებთ მოწვეული იქმნება მოკლე ვადით, - სახელდობრ ექვსის თვით. ამ ხნის განმავლობაში გადაწყდება ის უმთავრესი კითხვა, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას - ესე იგი რევოლიუციის საკითხი. ან უფსკრულში ჩაიღუპება, ან თავს დავაღწევთ ანარქიას.

ამ რიგად ჩვენ დავადგინეთ - მოწვეულნი იქმნენ ექვსის თვით როგორც 19 წლიანები, აგრეთვე 20-32წლამდე - ვინც უკვე მსახურობდა ჯარში, -ე.ი. ისინი, ვინც გაწვეულნი იყვნენ, მაგრამ რაიმე მიზეზით ან არ გამოცხადნენ ჯარში, ან გამოცხადნენ მაგრამ შემდეგ ჯარიდან გაიქცნენ. ჩვენ ვფიქრობთ, ამით საკმაო ძალას შევკრებთ, -რომელიც შეძლებს დაიცვას შინაური წესრიგი და გარედან მოსალოდნელი საფრთხე. ხანგრლივ ომის წარმოებას ჩვენ არ ვფიქრობთ. იქნებ არიან პარტიები რომელთაც ეს აზრად აქვთ, მაგრამ სახედრო სექცია და აღმასრულებელი კომიტეტი ამ საკითხს თავის წინაშე არ იყენებენ.

ამის შემდეგ მომხსენებელი კითხულობს რუსულად სამოზილიზაციო პროექტებს - და შემდეგ განაგრძობს:

დღემდის ჯარში გაწვევის წესრიგი ისეთი იყო, რომ ძალიან უმძიმებდა ჯარში გაწვეულებთ მდგომარეობას ახლა - კი ყოველ მაზრაში რამდენიმე ადგილი იქმნება გაწვეულთა მისაღებად. თითონ ჯარის რაზმები მაზრებშივე შესდგებიან და, იშვიათ შემთხვევაში, თუ ყველა მაზრაში არა მახლობელ მაზრაში მაინც იქნება რაზმი, - რადგანაც არის ასეთი მაზრები, რომლებშიაც ჯარის გამოკვება მოუხერხებელია. იმედი გვაქვს - ამ მობილიზაციას განვახორციელებთ, თუ რევოლიუციონური ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები ხელს შეგვიწყობენ და დაბრკოლებას არ გაგვიწევენ.

თავმჯდომარე: პარტიულ კრებაზე წინადადება იყო გამოთქმული, რომ ჯერ-ჯერობით გაწვეულნი იყვნენ მხოლოდ ორი კატეგორიის პირნი: ისინი ვინც იმალებოდნენ და ისინი ვისაც ჯერ არ უმსახურიათ. ხოლო ისინი ვინც სამის წლის განმავლობაში ომში იყვნენ და ამ ჟამად დასასვენებლად არიან სახლში წასულნი, - დასვენების შემდეგ იყვნენ მოწვეულნი.

ნოე რამიშვილი: ეს შეუძლებელია. ვისაც კანონიერი „ოტპუსკი“ არ გაჰთავებია, - ისინი რასაკვირველია, ვადის გასვლამდე დარჩებიან სახლში. მაგრამ ვისაც დათხოვნის ვადა შეუსრულდათ, ახლავე უნდა გამოცხადნენ. ჩვენ გამოცდილნი გვესაჭიროებიან, განსაკუთრებით არტილერისტები. შესაძლებელია, ბათუმის დაცვა დაგვჭირდეს. ამასთანავე ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს - ვინიცობაა ჯარი ზედმეტი მოგროვდა, - უფროსი ხნისანი სრულიად დავითხოვოთ.

შალვა მიქელაძე: (სოც. ფედ.): ჩვენი ფრაქცია წინააღმდეგია მუდმივ ჯარის ყოლისა, მხოლოდ აწინდელ პოლიტიკურ ვითარების გამო მხარს უჭერს მობილიზაციის ორსავე პროექტს და ფიქრობს, რომ ყველა პარტიულმმა ორგანიზაციამ ამ პროექტების ცხოვრებაში გატარებას ყოველის ღონისძიებით ხელი უნდა შეუწყოს და ერთ სულოვნად მიიღოს. ამ მხრივ გაზ. „ერთობის“ დღევანდელ ნომერში მოთავსებული წერილი უადგილოა და შეიძლება უკმაყოფილება გამოიწვიოს ხალხში მობილიზაციის გამო. ამასთანავე იგი ეწინააღმდეგება პარტიის გადაწყვეტილებას. ჩვენ

ვემხრობით ნოე რამიშვილის ჯარს, რომ ჯარი საჭიროა შინაურ წესრიგის და რევოლიუციის დასაცველად;

არა გვსურს ომი ვაწარმოვოთ, არ-ცა გვაქვს ამის საშუალება. ამასთანავე მოვითხოვთ, რომ ბეჯითი ნაბიჯები იყოს გადადგმული, რათა, რაც შეიძლება მალე, ზავი იქმნეს შეკრული.

თავმჯდომარე: „ ერთობის“ გუშინდელ ნომერში მოთავსებული წერილი სრულიად შეეფერება პარტიის გადაწყვეტილებას. დღევანდელის ნომრის წერილის შინაარსი არ ვიცი.

ნოე რამიშვილი: ეს არის ერთნაირი გაკამათება გაზეთებს შორის...

სამსონ დადიანი: ასეთი კამათი საქმეს წაახდენს.

ნოე რამიშვილი: არა მგონია ამან საქმე წაახდინოს. სამაგიეროდ, გუშინდელი წერილი სრულიად ეთანხმება თქვენს აზრს და ჩვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

სამსონ დადიანი: გეხსომებათ გრიგოლ რცხილაძის განცხადება, წარსულ კრებაზედ რომ წარმოადგინა. ჩვენი პარტია მუდმივ ჯარის არსებობის ყოველთვის წინააღმდეგი ყოფილა და იქნება კიდეც. მაგრამ მობილიზაციას მხარს ვუჭერთ განსაკუთრებულ განსაცდელის გამო. „ერთობა“-ში კი სწერია, ვითომ ფედერალისტები ცდილობენ მუდმივის ჯარის შედგენას. ეს ნოე რამიშვილს ერთნაირ გამოკამათებად მიაჩნია. მე - კი ამას არა სასურველ მოვლენად ვთვლი.

პავლე საყვარელიძე: ერთია პოლემიკა გაზეთებს შორის, მეორეა პარლამენტალური ცხოვრება. თქვენ არ შეგიძლიანთ მოსთხოვოდ თავმჯდომარეს და საერთოდ პრეზიდიუმს, რომ პოლემიკა არ იმართებოდეს გაზეთებში. უნდა გაგვანთავისუფლოდ აქ საბჭოში ასეთ პოლემიკისაგან. გაზეთითვე შეიძლება პასუხის გაცემა.

გიორგი ლასხიშვილი: ვეთანხმები პავლე საყვარელიძის აზრს, - სხვა და სხვაა საგაზეთო პოლემიკა და საპარლამენტო ცხოვრება. მაგრამ თუ გვინდა ჩვენი დადგენილების ცხოვრებაში

გატარება, -საჭიროა ერთსულოვნება და ამ მხრივ პრესაც უნდა გვეხმარებოდეს. წინადადებას ვიძლევი - საბჭომ სურვილი გამოსთქვას, რომ ამ საქმეში პრესამ მხარი დაგვიჭიროს. ამ საგნის გარშემო პარტიები უნდა გაერთიანებულნი იყვნენ და ასეთი პოლემიკა უადგილოა.

თავმჯდომარე: წინადადებაა კამათი მოისპოს ამ საგნის გამო. ვინც მომხრეა კამათის გაგრძელებისა, გთხოვთ ხელი ასწიოთ (პაუზა) ორია მომხრე. მაშასადამე ამ საგნის შესახებ კამათი მოსპობილია. გადავდივარ მთავარ კითხვის განხილვაზე.

შალვა მიქელაძე: მსურს იყოს შეტანილი ერთი შესწორება იმ პროექტში, რომელიც შეეხება 32 წლიანებს. პროექტით ყველა ახალგაზრდა ამ ხნისა უნდა იქმნას გაწვეული, არავისათვის არ არსებობს გამონაკლისი. სრულიად ვეთანხმები ამ გადაწყვეტილებას, მხოლოდ ერთი მცირე შესწორება უნდა იქმნას, ჩემის აზრით შეტანილი. იანვრიდან საფუძველი ეყრება ქართულ უნივერსიტეტს. მოგეხსენებათ, ჩვენში სამეცნიერო ძალები ნაკლებად არის. ამიტომ ჩვენი სურვილია ის მეცნიერნი, რომელნიც ქართულ უნივერსიტეტში იქმნებიან პროფესორებად მოწვეულნი, - განთავისუფლებულნი იქმნენ სამხედრო ბეგარისაგან, რომ უნივერსიტეტმა შესძლოს მოქმედება. ამათი რიცხვი მეტის-მეტად მცირე იქმნება, ჯარისათვის მათ არავითარი მნიშვნელობა არ ექმნებად, მაშინ, როდესაც მეცნიერებისათვის მათი მუშაობა აუცილებელი საჭიროებაა.

პავლე საყვარელიძე: ასეთი შეღავათი მისაღებელი არ არის. ამას ხალხის თვალში დიდი გავლენა ექმნება. მით უფრო რომ ამ გამონაკლისს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. ბევრი-ბევრი, ერთი-ორი პროფესორი განთავისუფლდეს. მობილიზაცია ამ შეღავათის მიღებით მთლიანობის შთაბეჭდილებას დაჰკარგავს. სრულიად ახალი დადგენილებაა არავისათვის გამონაკლისი არ იყოს, ყველა წავიდეს ჯარში ჩვენ-კი თუ ამ წინადადებას მივიღებთ, - შევქმნით სხვა და სხვა არა სასურველ ხვრელს, რაც მთავარ დებულებას დაასუსტებს. მე ვთხოულობ, რომ არავითარი შეღავათი არ იქმნას მიღებული.

ნოე რამიშვილი: წინააღმდეგი ვარ ამ წინადადების მიღებისა. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ინტელიგენციას ჰსურს კვლავინდებურად თავი გაინთავისუფლოს. სექციაში წინადადება იყო რედაქტორების განთავისუფლების შესახებ, მაგრამ უარ ყოფილ იქმნა. ახლა თუ პროფესორებს გავანთავისუფლებთ - იგივე წინადადება კვლავ აღიძვრის. ასეთი გამონაკლისები მთელის ხალხის აღშფოთებას გამოიწვევს. თუ სოფლის მასწავლებლები მოდიან, რომელთაც უფრო მეტი საქმე აქვთ, ან სტუდენტები - პროფესორები რატომ არ უნდა წავიდნენ! ვიდრე ჩვენს უნივერსიტეტს მკვიდრი საფუველი ჩაეყრებოდეს, - კარგა ხანი გაივლის. სოფლის მასწავლებლები ახ-ლავე აწარმოებენ განათლების საქმეს; უნივერსისტეტს - კი, რაკი სტუდენტები გაწვეულნი იქნებიან, - მოსწავლეთა კონტიგენტი არ ეყოლება. ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რაც შეძილება მტკიცე საერთო კავშირი შევქმნათ ამ მობილიზაციის გარშემო და თუ გამონაკ-ლისები მივიღეთ ამ კავშირს დავასუსტებთ. თუ ზედმეტი რიცხვი იქმნება ჯარისკაცებისა, მაშინ, როგორც უკვე განვაცხადე, ხნიერებს დავითხოვთ.

თავმჯდომარე: კამათი შეღავათის შესახებ გადავიტანეთ იმ დროისთვის როცა ამის შესაბამისი მუხლის განხილვა იქმნება. ახლა-კი პროექტის მუხლობრივ განხილვას შევუდგეთ. მომხსენებლი მუხლობრივ კითხულობს პროექტს 19 წლიანების გაწვევის შესახებ!

1-ლი მუხლი. მუხლი 1-ლი კამათს არ იწვევს.

იესე ბარათაშვილი. კენჭის ყრა ფრაქციული იყოს.

თავმჯდომარე: აქ საბჭოა მაშასადამე კენჭის ყრა საერთო უნდა იყოს. ვინც არის 1-ლის მუხლის მიღების მომხრე - გთხოვთ ხელი ასწიოთ (პაუზა) უმრავლესობა. ვინ არის წინააღმდეგი - (პაუზა) არავინ. ვინ შეიკავა თავი (პაუზა) სამმა. მაშასადამე 1-ლი მუხლი მიღებულია. თუ გნებამთ ახლა ფრაქციული კენჭის ყრა მოვახდინოთ.

იესე ბარათაშვილი: შედეგი გამორკვეულია. საჭირო არ არის.

1-ლი მუხლის 1-ლი შენიშვნა.

წაკითხულია 1-ლის მუხლის 1-ლი შენიშვნა.

თავმჯდომარე: ეს შენიშვნა, სხვათაშორის შეღავათების საკითხავს ეხება. ვინ არის მომხრე, რომ ეს შენიშვნა უცვლელად იქმნას მიღებული (პაუზა) უმრავლესობა. ვინ არის წინააღ-მდეგი(პაუზა) არავინ. ვინ შეიკავა თავი - სამმა. მაშასადამე 1-ლი შენიშვნა 1-ლი მუხლისა მიღებულია - იმ შესწორებით, რომ საზო-გადო ორგანიზაციითა გარდა მოხსენებული იყოს მთავრობის ორგანიზაციებიც.

1-ლის მუხლის 2- შენიშვნა.

იკითხება პირველი მუხლის მე-2-რე შენიშვნა.

რაჟდენ არსენიძე: წინადადება შემომაქვს, რომ გაწვევისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ დედისერთანი. უკაცობის გამო ოჯახები იღუპება.

მინადორა ტოროშელიძისა: ჩემის არით, ოჯახში ერთი მუშა მამაკაცი უეჭველად უნდა დარჩეს დედის ერთა იქმნება იგი თუ სხვა.

იოსებ გობეჩია: ამ შეღავათის შეტანით სამობილიზაციო პროექტის მნიშვნელობას შევასუსტებთ. ეროვნულმა საჭიროებამ მოითხოვა და ყველანი უნდა გავიდნენ სამშობლოს დასაცველად. მიიღეთ მხედველობაში საფრანგეთის მაგალითი. ყველანი ისე მიდიან ომში როგორც ერთი კაცი.

თავმჯდომარე: მოვაგონებ კრებას, რომ მობილიზაცია განზრახულია ექვსის თვით. ამ ხნის განმავლობაში სოფლის მუშაობა თითქმის არ იქმნება.

შალვა ამირეჯიბი: რა დახმარება დაეწევა იმ ოჯახს საიდანაც უკანასკნელი მამაკაცი იქმნება წაყვანილი?

თავმჯდომარე: კითხვა ამის შესახებ დაყენებული იქმნება. თუ ზომებს მიიღებენ ოჯახის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, -ხალხი წამოვა. არ ვიცი აქვს თუ არა სამხედრო სექციას საამისო პროექტი.

ნოე რამიშვილი: ჯერჯერობით არ არის.

თავმჯდომარე: მგონია აზრად იყო - ორ ორი მანათი მისცემოდათ ჯარის-კაცებს დღიურად. ამ ჯილდოს ნაწილს ისინი ოჯახებს მიაწვდიან.

ნოე რამიშვილი: ეს აზრი შტაბს ეკუთვნის. ჩემის აზრით კი ეს დაქირავებულ ჯარის მოწყობა გამოვა, რაც საშუალო საუკუნეებს მოგვაგონებს. პირადათ იმ აზრისა ვარ, ოჯახში თითო მამაკაცი რომ დარჩეს - სამობილიზაციო საქმე ამით არ წახდება. ოჯახს მართლაც მუშა ხელი ესაჭიროება, რადგანაც ამჟამად არის ისეთი სამუშაო, რასაც მამაკაცი თუ გააკეთებს, მაგალითად შეშის მოტანა და სხვა ამისთანა.

იოსებ გობეჩია: განთავისუფლება 19 წლიანებისა - ხალხში აღძრავს ერთნაირ გაკვირვებას, - რადგანაც ცხრამეტწლიანების მაგიერობას ოჯახში ქალი ყოველთვის გასწევს. თუ მათ განვათავისუფლებთ, მაშინ იძულებულნი ვიქნებით შემდეგ წლიანებიც განვათავისუფლოდ. ასეთი გამონაკლისები ჩვენ შორს წაგვიყვანს და მობილიზაციის საქმეს ავნებს.

რაჟდენ არსენიძე: მწვავე კუთხეებს ჩვენ ისედაც ვამწვეტებთ. ვშიშობ, რომ ერთი უდიდესი და უძლიერესი საქმე ნაყოფს ვერ გამოიღებს და საბედისწეროთ გათავდება. ისედაც ხალხი ჩივის და დრტვინავს ომის უღლის ქვეშ. ამ შემთხვევაში საფრანგეთი მოსატანი არ არის. ჩვენი ხალხის ცხოვრება არ შეეფერება საფრანგეთის ხალხის ცხოვრებას.

იქ დედაკაცის შრომა თითქმის უდრის მამაკაცის შრომის ნაყოფიერებას. ქალს არ შეუძლიან ოჯახი არჩინოს. მართალია ზამთარია, - მაგრამ მრავალი მძიმე საქმის გაკეთება სჭირდება ოჯახს. მერე ხვნა-თესვა დაიწყება, - სად შეუძლიან დედაკაცს ამის გაძღოლა. უეჭველად ერთი მუშა მამაკაცი უნდა დარჩეს ოჯახში თორემ ხალხი არ გამოვა. რაც შეეხება ფულის მოწვდას, - რა მნიშვნელობა აქვს ამ დროში ფულსა, რას შეიძენს, რას მოიცხობს ოჯახი იმ ორიოდე მანათით რომელსაც დახმარებათ მიაწვდით.

შალვა ქარუმიძე: არავინ არის წინააღმდეგი იმ ჰუმანურის აზრებისა, რომელიც აქ გამოითქმის და არავინ არის აქ ისეთი,

რომელიც ამ აზრებს არ იზიარებდეს. ხალხის საშინელი მდგომარეობა ჩვენც ვიცით. მაგრამ ყველა ამაზე მაღლა სდგას სხვა პირობები, რომელსაც ჩვენი ქვეყანა განიცდის. რათა მობილიზაციამ უნაკლულოდ ჩაიაროს მაგისთანა გამონაკლისები არ უნდა იყოს მიღებული. ჩვენი ხალხი განახევრებულია. ყველა დედის ერთაა. ვინიცობაა ოჯახიდან, რომელშიაც სამი მამაკაცია, სამივე წაიყვანეს, - მაშინ ოჯახი ხომ უმამაკაცოთ დარჩება. რატომ უნდა მიეცეს შეღავათი დედის-ერთას. ეს ისეთი არა სასურველი ხვრელი იქმნება, რომელიც შეასუსტებს განზრახულ მობილიზაციის მნიშვნელობას. თუ გვინდა რომ ამ მობილიზაციამ წესიერად გაიაროს - არავითარი გამონაკლისი არ უნდა იყოს მიღებული.

ნოე რამიშვილი: სამხედრო სექცია იმ აზრისაა, რომ გამონაკლისი 19 წლიანებს არ უნდა შეეხოს. მხოლოდ ეს შეღავათი 20-32 წლიანებზე შეიძლება გავრცელდეს. ამასთანავე ვაცხადებ, რომ საკითხი ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ განხილული იქმნება და გატარებული საერთაშორისო სამხედრო კომიტეტში. სხვათა შორის წინადადება იყო შემოტანილი, რომ მობილიზაცია ოთხის თვით ყოფილიყო, რათა სოფლად მუშაობის დაწყებისას ხალხი უკანვე დაბრუნებულიყო, მაგრამ ეს წინადადება პრაქტიკულ მოსაზრების გამო უარყოფილ იქმნა. ჩვენ იმედი გვაქვს, - იმ დროისთვის ან სულ დავითხოვთ ჯარს. ან თუ ეს არ მოხერხდა გარემოებათა გამო, მაშინ დროებით დავითხოვთ სამუშაოდ.

კონსტანტინე აფხაზი: პროექტში ნათქვამია, რომ ყოველნაირი შეღავათი მოსპობილია. ჩემის აზრით, საჭიროა აღნიშნული იყოს: შეღავათი, რომელსაც იძლეოდა სწავლა- განთლების ცენზი ან ოჯახური მდგომარეობა - მოსპობილია.

თავმჯდომარე: საკმარისია აღინიშნოს - ყველანაირი შეღავათი, გარდა ავადმყოფობისა გამო, მოსპობილია.

დავით ვაჩნაძე: არის ისეთი ავადმყოფობა, რომელიც არ ანთავისუფლებს?

კონსტანტინე აფხაზი: უნდა შედგენილ იქმნას ავადმყოფობათა ახალი ნუსხა, რომელიც ანთავისუფლებს ჯარში ჩარიცხვისაგან.

ავადმყოფ. ახალი ნუსხა.

თავმჯდომარე: წინადადებაა შედგენილ იქმნას ავადმყოფობათ ახალი ნუსხა. რომელიც ანთავისუფლებს ჯარში ჩარიცხვისაგან.

საბჭო ერთხმად იღებს ამ წინადადებას.

შალვა მიქელაძე: მეორე შენიშვნაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ (რუსულად) ყველა შეღავათი მოსპობილია, გარდა აქვე დართულ ნუსხით განსაზღვრულ ავადმყოფობისა.

იოსებ გობეჩია: ჩემის აზრით შეღავათი არც 20-32 წლიანებს უნდა მიეცეთ. ოჯახების უზრუნველყოფა საზოგადოებამ უნდა იკისროს. ნუთუ მთელ ქართველ ერს არ შეუძლიან იმათ ოჯახების შენახვა, ვინც სამშობლოს დასაცველად არიან გაწვეულნი?!

თავმჯდომარე: ეგ შენიშვნა უნდა გეთქვათ შემდეგში, როცა მეორე პროექტის განხილვა იქნება.

რაჟდენ არსენიძე: ჩემი წინადადება?

თავმჯდომარე: მიეცეს თუ არა შეღავათი დედისერთას ან ოჯახის მარჩენალს?

საბჭო უარჰყოფს ამ წინადადებას.

1-ლი მუხლის მე-2-ე შენიშვნა მიღებულია საბჭოს უმრავლესობის მიერ.

1-ლის მუხლ. მე-3-მე შენიშვნა.

მე-2-რე მუხლი.

პირველის მუხლის მესამე შენიშვნა მიღებულია უკამათოდ.

იკითხება მეორე მუხლი.

დავით ვაჩნაძე: უმჯობესია სამხედრო უფროსების მაგიერ - აღნიშნული იყოს ეროვნული საბჭო როგორც მაჩვენებელი შემაკრებ ადგილებისა.

ნოე რამიშვილი: მე - კი მგონია უმჯობესია საგუბერნიო და სამაზრო კომისარები. ჩვენ- კი მათ მოველაპარაკებით.

თავმჯდომარე: საჭიროა ეს მუხლი უფრო გაგებით იყოს განმარტებული.

შალვა ამირეჯიბი: მოვასწრებთ კი 15 იანვრისთვის?

თავმჯდომარე: ჩვენ მოვასწრებთ. ამ ჟამათ უკვე მიტინგები იმართება.

ივანე ჩერქეზიშვილი: უმჯობესია რიცხვი არ იყოს განსაზღვრული, არამედ იყოს მხოლოდ აღნიშნული (რუსულად) პირველსავე მოთხოვნაზე.

ნოე რამიშვილი: ჩემის აზრით მოვასწრებთ. შეიძლება მხოლოდ სვანეთში და მთიულეთში ვერ მოხერხდეს. ვინიცობაა ვერ მოვასწარით, - მაშინ გადავდებთ.

საბჭო იღებს მოწვევის ვადად 15 იანვარს.

კონსტანტინე აფხაზი: აღნიშნული უნდა იყოს ვინ იწვევს ჯარისკაცებს.

ნოე რამიშვილი: გაუგებრობაა. ვინ იწვევს და კომისარიატი. დეკრეტი კომისარიატის სახელით იქმნება გამოქვეყნებული.

მცირე ინციდენტი.

სამსონ დადიანი: ჯერ მანამდე არ მივსულვართ.

ნოე რამიშვილი: აქ თუ არა გვძინავს.

სამსონ დადიანი: თქვენ თუ გძინავთ თორემ ...(რუსულად) მაგისთანა სიტყვების თქმა შეუძლებელია.

ნოე რამიშვილი: (რუსულად) თუ გძინავთ, შეიტანეთ ოქმში... დეკრეტის დასაწყისშივეა ნათქვამი, რომ მას ამიერკავკასიის კომისარიატი ადგენს.

თავმჯდომარე: ჩვენ შორის მჭიდრო კავშირია. ჩვენ უიმათოდ და ისინი უჩვენოდ ვერას გააკეთებენ.

სამსონ დადიანი: რადგანაც უჩვენო კომისარიატის ბრძანებას გავლენა არ ექმნება, - მივიღოთ ასეთი რედაქცია: დეკრეტს ხელს მოაწერენ იმ ერების საბჭოები, რომელთაც შეეხება მობილიზაცია. აი, ამაზე ვიქონიოთ მსჯელობა. ვისაც არ ეძინა - იმან უნდა იცოდეს, რომ ამის შესახებ ჩვენ ჯერ გადაწყვეტილება არ მიგვიღია.

თავმჯდომარე: გთხოვთ ერთმანეთს მეტის პატივისცემით და ლმობიერებით მოეპყროთ.

ნოე რამიშვილი: დეკრეტს გამოსცემს კომისარიატი როგორც მთავრობა. ჩვენ ვგმობთ იმ აზრს რომ ხელი საბჭოსაც ეწეროს. ეროვნული საბჭო მთავრობა როდია. ჩვენმა საბჭომ რომ ხელი მოაწეროს, - ერთა შორის უთანხმოებას გამოიწვევს, რადგანაც ზოგი აცხადებს მობილიზაციას და ზოგი არ აცხადებს. სწორედ ასე გადაწყდა აღმასრულებელ კომიტეტში.

თავმჯდომარე: თუ კომისარიატი დაინახავს საჭიროდ, საბჭომ მოაწეროს ხელი. თუ საჭიროდ არ სცნობს, - ძალას ვერ დავატანთ.

გრიგოლ ვეშაპელი: ჩვენ ვიმსჯელოთ ამ საგანზე შემდეგში. ახლა სხვა მუხლია განსახილველი.

თავმჯდომარე: თუ ჩვენ მოვაწერთ ხელს, მაშინ საჭირო‌ა შესაფერად შეიცვალოს განსახილველი მუხლი, ე. ი რომ შესაკრებ ადგილებს დანიშნავს საბჭო. თუ მარტო კომისარიატი მოაწერს ხელს, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ხსენებულ ადგილებს დანიშნავენ სამაზრო და საგუბერნიო კომისარები.

გრიგოლ ვეშაპელი: სახალხო მილიციის შესახებ რომ მივიღეთ პროექტი, - გადაწყვეტილი იყო, რომ მას გამოაქვეყნებდა მარტო ეროვნული საბჭო.

ნოე რამიშვილი: ეს სულ სხვა არის. სახალხო მილიციას ჩვენ ვადგენთ ისე, როგორც შევადგინეთ წითელი გვარდია და სხვა ამისთანა სარევოლიუციო ორგანიზაციები. ასე რომ არავითარი ერთობა არ არის სახალხო მილიციის შედგენასა და ამ სამობილი-ზაციო პროექტებს შორის. მაშინ, როდესაც სახალხო მილიციის პროექტში არავითარი სასჯელი არ არის აღნიშნული, სამობილი-ზაციო პროექტებით სასჯელია განსაზღვრული იმათთვის, ვინც თავის მოვალეობას არ აღასრულებს. ბატონი ვეშაპელი იყო იმ კრე-ბაზედ, რომელზეც შემუშავდა ეს პროექტები და მაშინ არავითარი ცვლილების შეტანა არ მოუსურვებია. ჩვენი პარტია ვერ იკისრებს, რომ ეროვნული საბჭო იყოს პასუხისმგებელი ამ საქმეში.

შალვა მიქელაძე: ჩვენი წინადადება, რათა დეკრეტს სასურველი გავლენა ჰქონდეს ხალხში - ხელი მოაწერონ მას კომისარიატმა და სათანადო ეროვნულმა საბჭომ.

რაჟდენ არსენიძე: არავითარი კავშირი მილიციასა და მობილიზაციას შორის არ არსებობს. მილიციაში ყველა სიამოვნებით ჩაირიცხება, არავითარი იძულებითი საშუალება არ არის ამისათვის სახმარი; მობილიზაციისათვის - კი საჭირო გამოდგა სასჯელის ნორმები. აქ, როგორც სჩანს, ჰსურთ ხელის მოწერით ეროვნული საბჭო კონტრაბანდულად მთავრობად გამოაცხადონ. კეკემალულობის თამაშობა არ შეჰფერის ასეთ ეროვნულ დაწესებულებას. ჩვენ მარტო შეგვიძლიან, - მისი ზნეობრივი დახმარება. პასუხის მგებლობას - კი პარტიები თავის თავზედ ვერ მიიღებენ. საქმე ხელის მოწერა არ არის. საქმე ის არის, რომ ჩვენ შევამსუბუქოთ სიმძიმე და სიძნელე ამ მობილიზაციის განსახორციელებისა. აქ საჭიროა დიდი მორალური დახმარება - აგენტების დაგზავნა საპროპაგანდოთ და ხალხის მომზადება. მთავრობაში შესვლას - კი სჯობია თავი დავანებოთ. და როცა გარემოება მოითხოვს მთავრობაში შესვლისას - მაშინ ღირსეულადაც შევალთ.

იესე ბარათაშვილი: ჩვენ წინააღმდეგები როდი ვართ, რომ დეკრეტი კომისარიატის სახელით იყოს გამოქვეყნებული. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია - ეროვნულ საბჭოსაც ეწეროს ხელი. მაშ რაში უნდა გამოიხატოს ჩვენი მორალური დახმარება. ეროვნულმა საბჭომ ყველასათვის აშკარა უნდა ჰყოს თავისს სიცოცხლის მაჯის ცემა. განა ხელი რომ მოვაწეროთ დეკრეტს - ეს მორალური დახმარება არ იქნება. ვერ გამიგია, -რატომ არ უნდა მოაწეროს საბჭომ ხელი დეკრეტს! სომხებმა ხომ გამოაცხადეს მობილიზაცია. მუსულმანები მობილიზაციას არა ჰსაჭიროებენ. ჩვენ ქართველები ვსაჭიროებთ - და ამიტომ დეკრეტზე ხელი უნდა ეწეროს როგორც კომისარიატს ისე ეროვნულ საბჭოს.

კამათის მოსპობა.

თავმჯდომარე: წინადადებაა - კამათი მოისპოს. საბჭო იღებს გადაწყვეტილებას - კამათი მოისპოს.

თავმჯდომარე: ორნაირი წინადადებაა -პირველი იკისროს ამ საქმეში პასუხისმგებლობა საბჭომ და დეკრეტს ხელი არ მოაწეროს და მხოლოდ კონტაქტი იქონიოს კომისარიატთან.

გრიგოლ ვეშაპელი: საბჭო ხელს მოაწერს; მხოლოდ დეკრეტში აღნიშნული იყოს, რომ ეს დეკრეტი გამოცემულია კომისარიატის მიერ ამა და ამ ეროვნულ საბჭოსთან შეთანხმებით.

ნოე რამიშვილი: ჩვენი პარტია ვერ იკისრებს პასუხისმგებ-ლობას. წინააღმდეგი ვართ. მართლაც და ეროვნული საბჭო კონტრაბანდიულად მთავრობის სახით გამოგვყავს. ეროვნულ საბჭოს შეუძლიან მხოლოდ ცალკე მოწოდება გამოსცეს.

პავლე საყვარელიძე: უეჭველად უნდა გამოვაცხადოთ, რომ მობილიზაცია ჩვენის თანხმობით ჰხდება. მე იმ აზრისაც - კი ვარ-, რომ დეკრეტზე ხელი მოგვეწერა, მაგრამ შესაძლებელია, - კომისარიატმა არ მიიღოს ეს. მივიღოთ ვეშაპელის წინადადება. თუ უფლება გვაქვს, ვსთხოვოთ კომისარიატს, გამოცხადებული იყოს, რომ ეს დეკრეტი ეროვნულ საბჭოს თანხმობით გამოიცემა. ძველ აზრის ნაყოფად მიმაჩნია იმის მტკიცება -არის თუ არა ეროვნული საბჭო მთავრობა. თუ ძალა გვაქს და გასჭრის ეს ჩვენი ძალა დეე ასე იყოს, - ჩვენთან შეთანხმებით იმოქმედოს კომისარიატმა. ნუ ვაძნე-ლებთ მუშაობას სხვა და სხვა დაბრკოლებით.

ნოე რამიშვილი: შეთანხმება შეიძლება მხოლოდ იმაზე რომ ცალკე მოწოდება გამოვცეთ. დეკრეტს ხელს ვერ მოვაწერთ ჩვენის პარტიის სახელით.

მინადორა ტოროშელიძისა: საჭირო არ არის - დეკრეტზე საბ-ჭომ ხელი მოაწეროს. ამით იგი პასუხისმგებლობას თავისს თავზედ მიიღებს. ჩვენი ორგანიზაციები ამის თანახმანი არ იქნებიან.

თავმჯდომარე: სამი წინადადებაა: პირველი - მარტო კომი-სარიატმა გამოსცეს დეკრეტი. მეორე - ამ პროექტს საბჭომაც ხელი მოაწეროს. მესამე - დეკრეტში იყოს აღნიშნული კომისარიატის

მიერ, რომ დეკრეტი გამოცემულია ამა და ამ ეროვნულ საბჭოსთან შეთანხმებით-

კრების შეწყვეტა.

ნოე რამიშვილი: წინადადება შემომაქვს სხდომა შეწყვეტილი იყოს 5 წუთით.

საბჭო იღებს ამ წინადადებას. სხდომა სწყდება 5 წუთით.

კრების განახლებისას, - თავმჯდომარე აცხადებს: გამოირკვა, რომ დეკრეტში არავითარი მოტივები არ იქნება აღნიშნული. დეკ-რეტი შეიცავს მარტო მოწოდებას. კომისარიატი წინააღმდეგია ამისა. მხოლოდ დამატებითი მოხსენება იქნება გამოქვეყნებული, რომელშიაც აღინიშნება, რომ მობილიზაცია ჰხდება ეროვნულ საბჭოებთან შეთანხმებით.

ვლადიმერ გობეჩია: ისეთ დიდ - საკითხის შესახებ, როგორიც არის ზავის საკითხი, - აღნიშნული იყო, რომ მოლაპარაკება ზავის შესახებ იმართება მუშათა გლეხთა და ჯარის კაცთა საბჭოების საოლქო ცენტრთან შეთანხმებით. ახლა ეს საბჭოები მიდიან და იმავე ადგილს დაიჭერენ ეროვნული საბჭოები.

ნოე რამიშვილი: საერთაშორისო საეროვნო სამხედრო საბჭო - განმარტავს ცალკე მოხსენებაში, რომ მობილიზაცია ჰხდება ეროვ-ნულ საბჭოებთან შეთანხმებით. დეკრეტში კი ამის შესახებ არაფერი იქნება ნათქვამი.

შალვა ქარუმიძე: დეკრეტს რომ ხელი მოვაწეროთ, იქნება ხარჯების გაწევაც მოგვიხდეს.

თავმჯდომარე: ეს შესაძლებელია თუ ხელს მოვაწერთ.

კენჭის ყრა.

თავმჯდომარე: სამი კითხვაა გადასაწყვეტი. პირველი - ცალკე განმარტებაში აღნიშვნა, რომ მობილიზაცია ჰხდება ეროვნულ საბჭოებთან შეთანხმებით. მეორე - ეროვნულმა საბჭომ ხელი მოაწეროს დეკრეტს და მესამე - დეკრეტშივე იყოს აღნიშნული, რომ იგი გამოცემის ეროვნულ საბჭოებთან შეთანხმებით.

კენჭის ყრით (ხელის აწევით) გამოირკვა, რომ პირველ წინადადების მომხრეა - 20, წინააღმდეგი - 8, დანარჩენმა თავი

შეიკავა; მეორე - წინადადების მომხრეა - 6. წინააღმდეგი - 14, დანარჩენებმა თავი შეიკავეს და მესამე - წინადადების მომხრეა - 8, წინააღმდეგი - 20, დანარჩენებმა თავი შეიკავეს.

თავმჯდომარე: ამრიგად მიღებულია ის წინადადება, რომ ცალკე მოხსენებაში იქნება განმარტული, რომ მობილიზაცია ჰხდება ეროვნულ საბჭოებთან შეთანხმებით.

2 მუხლის მიღება. მე-3-მე მუხლი.

ამის შემდეგ მეორე მუხლს მთლად იღებს კრების უმრავ-ლესობა.

საბჭო იღებს მესამე მუხლს შალვა მიქელაძის შესწორებით, რომ კომისიის მონაწილეთ აღნიშნულნი იყვნენ „ ექიმები“ და არა „ ერთი ექიმი“

მე-4, 5 და 6-სე მუხლის მიღება. მე-7-დე მუხლი.

მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მუხლებს საბჭო იღებს უცვლე-ლად.

მეშვიდე მუხლს საბჭო იღებს შალვა მესხიშვილის შესწო-რებით, რომ გამოტოვებული იყოს სიტყვები „ შეუმოწმებლად“ (Без освидетельствований).

მე-8-ვე მუხლი.

მერვე მუხლს საბჭო იღებს უკამათოდ.

მეცხრე მუხლის შესახებ რაჟდენ არსენიძე აცხადებს, რომ შეუძლებელია თავგამრიდებლის დამხმარეს დასჯა, რადგანაც სოფელში ყველამ იცის, რომ ესა და ეს პირი სამხედრო სამსახურს გაურბის.

მეცხრე მუხლს საბჭო იღებს შეუსწორებლად.

თავმჯდომარე: ამრიგად, მთელი პროექტი მიღებულია. ახლა 32- წლიანების პროექტს შევუდგეთ.

პროექტი 32 წლიანების შესახებ.1 და 2 შენ.

პირველ მუხლის 1 და 2 შენიშვნებს - საბჭო უკამათოდ იღებს.

1 მუხლის მე-3 შენ.

პირველი მუხლის მესამე შენიშვნა მიღებულია მცირედის შესწორებით - სახელდობრ, რომ ყველა, ვინც ჯერ შემოწმებული არ

იყო და მათ შორის თეთრბილეთიანები, უნდა გამოცხადნენ შეაკრებ ადგილებში შესამოწმებლად.

1 მუხლის მე-4 შენ. პირველის მუხლის მეოთხე შენიშვნა მიღებულია უკამათოთ.

კამათი შეღავათის შესახებ.

კამათს იწვევს საკითხი შეღავათის შესახებ.

შალვა მიქელაძე: განთავისუფლებული უნდა იყოს ის პირი, რომელიც ერთად ერთი ვაჟკაცია ოჯახში.

ნოე რამიშვილი: (რუსულად) ე. ი ერთად ერთი მარჩენალი (Единственный кормилец в семье)

თავმჯდომარე: ამ ნიადაგზე დიდი უსწორმასწორობა შეიძლება დაიბადოს. ვთხოვოთ სექციას შეიმუშავოს ვინ უნდა გადასწყვიტოს რომელია განთავისუფლების ღირსი და რომელი არა.

ნოე რამიშვილი: ამას თვით სოფლის საზოგადოება გადასწყვეტს. სოფ. საზოგადოება მიაწვდის ცნობებს - ვინ არის ღირსი განთავისუფლებისა და ვინ არა. ავადმყოფობის შესახებ მას შეუძლიან ამ ცნობების მოწოდება, რადგანაც არის ისეთი ავადმყოფობა, მაგალითად ბნედა, რომლის გამოკვლევას დრო უნდა და სოფელმა კი იცის.

იოსებ გობეჩია: წინააღმდეგი ვარ შეღავათის. ღარიბ ოჯახების დახმარება საზოგადოებამ უნდა იკისროს რაკი დიდი უმრავლესობა გადის ჯარში შინ დარჩენილ უმცირესობის მოვალეობაა - მზრუნველობა გაუწიოს უმწეოდ დარჩენილ ჯარისკაცების ოჯახებს.

თავმჯდომარე: ორი წინადადებაა: იყოს მიღებული შეღავათი თუ არ იყოს.

შეღავათის მიღების მომხრეა საბჭოს ათი წევრი; წინააღმდეგი ექვსი წევრი; დანარჩენები თავს იკავებენ.

თავმჯდომარე: უნდა გამოვარკვიოთ, ვინ უნდა იყოს განთავისუფლებული.

ნოე რამიშვილი: განთავისუფლებული უნდა იქმნას ის, ვინც ერთათ ერთი მარჩენალია ოჯახისა.

შალვა ამირეჯიბი: ვინ უნდა გადასწყვიტოს ეს?

ნოე რამიშვილი: სოფლის საზოგადოებამ.

შალვა მიქელაძე: სოფელს რომ მივაკუთვნოთ ამის გადაწყვეტა - მაშინ ვინც სოფლიდან წამოსულია იმათ შესახებ ვინღა გადასწყვეტს? გამოვა რომ ისევ ინტელიგენცია განთავისუფლდება; ოჯახები დანაწილებულია, მამა ცალკე ცხოვრობს, შვილი ცალკე და ამრიგად ქალაქი ეწევა შეღავათს.

თავმჯდომარე: მართალია, პრაქტიკულად ისევ ინტელიგენცია განთავისუფლდება.

დავით ვაჩნაძე: ნახევარ ხალხს დავკარგავთ -სოფლად ცალკე, ქალაქად ცალკე.

იოსებ გობეჩია: წინადადება შემოაქვს ხელახლად გადავსინ-ჯოთ მიღებული დადგენილება.

თავმჯდომარე: სამხედრო სექციას მივანდოთ ამის გადაწყვეტა - თუ საჭიროდ დაინახავს გაატარებს ცხოვრებაში ამ შეღავათს, თუ არა და უარჰყოს.

საბჭო იღებს თავმჯდომარის წინადადებას.

მე 2-რე მუხლი.

მე-3 მუხლი.

მეორე მუხლი მიღებულია.

მესამე მუხლს საბჭო იღებს ივანე ჩერქეზიშვილის შესწორებით, სახელდობრ, რომ განზრახ თავგარიდებულმა ჯერ სამხედრო სამსახური გაათავოს და მერე სასჯელი მოიხადოს.

ექიმების და ფერშლების შესახებ.

შალვა მიქელაძე: საჭიროა განმარტებულ იქმნას, თუ ექიმები და ფერშლები რა პირობებით იქნებიან მიღებულნი თავისს სპეციალობის დარგში ჩასარიცხად, თუ ჩვეულებრივ ჯარისკაცად.

ნოე რამიშვილი: ჯერ შევსებული იქნება მათი სასპეციალო დაწესებულებანი და თუ მეტი აღმოჩნდება-ისინი ჩვეულებრივ ჯარისკაცებად ჩაირიცხებიან.

რაჟდენ არსენიძე: სუყველანი ერთნაირად უნდა იყვნენ გაწვეულნი და რას მიაკუთვნებენ შემდეგში - ეს საქმეზე იქნება დამოკიდებული.

შალვა მიქელაძე: ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ მთელი რიგი დაწესებულებებისა უექიმოდ და უფერშლოდ არის დატოვებული.

თავმჯდომარე: ამ საგნის გადაწყვეტა სამხედრო სექციას მიენდოს.

საბჭო იღებს თავმჯდომარის წინადადებას.

საკითხი სამღვდელოების შესახებ.

ვლადიმერ გობეჩია: ვრცელდება თუ არა ეს მობილიზაცია მღვდელებზე და ბერებზედ.

თავმჯდომარე: უმღვდელოდ ხომ არ დავსტოვებთ სოფელს?!

ნოე რამიშვილი: ჩვენ არ ვუკრძალავთ შევიდნენ ჯარში.

მობილიზაციის მიზანი.

იოსებ გობეჩია: საჭიროა, რომ მიზანი ჩვენის ჯარის მობილიზაციისა და ტერიტორია მისი მოქმედებისა თვალნათლივ იყოს აღნიშნულ- განმარტებული ხალხისათვის. როგორც ვიცით, - ჩვენი მეზობლები მობილიზაციის შესახებ სულ სხვა აზრისანი არიან.

თავმჯდომარე: ჩვენ ხომ მათ ხელს ვერ შევუკრამთ. ჩვენ ჩვენის ქვეყნის საზღვარს არ გავცილდებით. ჩვენ მობილიზაციას ვახდენთ შინაურ წესრიგის დასაცავად და გარედან მტრის შემოსევისაგან ქვეყნის დასაფარავად. ჩვენ ჩვენ მოწოდებაში ვიტყვით ამის შესახებ.

ნოე რამიშვილი: ჩვენს მოწოდებაში იმ აზრს გავუსვამთ ხაზს, რომ მობილიზაციას ვახდენთ ჩვენის ფიზიკურის არსებობის დასაცავად და რევოლიუციის მოპოებათა შესანარჩუნებლად. . სხვა ერებში სულ სხვანაირად უყურებენ საქმეს, მაგრამ საბოლოოდ მე მგონია ყველანი იმ აზრს დაადგებიან, რასაც ჩვენ გარდა ერთის ერისა, მაგრამ საკითხი ამის შესახებ, მე მგონია, ღიად დავტოვოთ, რადგანაც არავითარი გადაწყვეტილების გამოტანა არ შეგვიძლიან.

საკითხი ჯარის მდგომარეობის გაუმჯობესების და ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ.

თავმჯდომარე: საჭიროა დეკრეტი გამოიცეს ჯარის ცხოვრების გაუმჯობესობის და ჯარისკაცთა ოჯახების უზრუნველ ყობის შესახებ. თუ გადაწყეტილი იქმნება ოჯახების უზრუნველყოფისა, თუ ერთი მამაკაცი მაინც დარჩება ოჯახში ეს პირობები შეიცვლება. ამის გარეშე, ჩვენი ხალხი უფრო მეტ სისუფთავეს, უკეთესს კვებას არის დაჩვეული და ახლანდელი პირობები ჯარის შენახვისა პირდაპირ აუტანელია.

ნოე რამიშვილი: აზრი იყო აღძრული, რომ ჯარის კაცებს მისცემოდათ 30-60 მანათამდე. მაშინ სხვა დახმარება უნდა მოს-პობილიყო, - მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი გადაწყვეტილება არ არის ამის შესახებ მიღებული. კომისარიატი შეიმუშავებს სათანადო დეკრეტს როგორც ჯამაგირის მომატებისას აგრედვე სხვა გვარად ყოფა ცხოვრების გაუმჯობესობისას და ოჯახების უზრუნველ ყობის შესახებ.

თავმჯდომარე: საბჭომ გამოსთქვა სურვილი ჯარის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის და ოჯახების უზრუნველ ყობის შესახებ.

საბჭო იღებს თავმჯდომარის წინადადებას.

ჯარის ეშელონის ბათუმის გზაზე გაგზავნა.

თავმჯდომარე: რუსეთისაკენ გასაგზავნ ჯარის ეშელონები ბაქოს გზით ვეღარ მიდიან რადგანაც გუდერმისის სადგურზედ ომია და გზა არის შეკრული. გაგზავნილი ეს ეშელონები გზაში არიან გაჩერებულნი. ახლა აზრი დაიბადა ბათუმის გზით გაგზავნონ ეშელონები და მერე ზღვით. მხოლოდ იგივე უწესოება-აკლება და დარბევა არ მოახდინონ ამ გზაზე, რაც სხვა გზებზე ჩაიდინეს.

რაჟდენ არსენიძე: თუ იარაღი ჩამოერთმევათ ისე შეიძლება ბათუმის გზით გაშვება. მაგრამ თუ იარაღს თან წაიღებენ ყოვლად მოუხერხებელია, რადგანაც დიდ უბედურებას დაატრიალებენ, რაც სხვა ადგილებშიაც ჰქმნეს. ამის გარდა, საშიში ისიც არის რომ

შეიძლება ჩვენმა ხალხმა მოუნდომოს ეშელონებს გზაში იარაღის აყრა. ამის მაგალითი სამტრედიაში იყო.

დავით ვაჩნაძე: იარაღით გაშვება შეუძლებელი. სამხედრო სექციას განზრახვა აქვს ნავთლუხშივე აჰყაროს მომავალ ეშელონებს იარაღი.

თავმჯდომარე: ამასთანავე რკინის გზამ ღამ-ღამოებით უნდა გაუშვას საეშელონო მატარებლები.

ვლადიმერ გობეჩია: ეშელონების იარაღით გაშვება ბათუმის გზით შეუძლებელია, მთლად დაჰღუპავს საქმეს. საჭიროა განსაკუთრებული რაზმები შევადგინოთ მიმავალ ჯარისათვის იარაღის ასაყრელად, ჯავშნიანი მატარებლები და ტყვიისმფრქვევლებით დავხვდეთ ამის გარეშე აუცილებლად საჭიროა -საკვები პუნქტები ვიქონიოთ, თორემ ჯარები მშიერი მოდის და ეს უფრო ამწვავებს საქმეს.

თავმჯდომარე: მაშასადამე, თქვენი აზრია, რომ ეშელონების გაშვება ბათუმის გზით მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მიმავალ ჯარს აქვე იარაღი აეყრება.

საბჭო ადასტურებს თავმჯდომარის დასკვნას.

შეკითხვა ქართველ ჯარისკაცთა საქართველოს ტერიტორიის გარეშე გაგზავნის შესახებ.

იესე ბარათაშვილი: ხმებია, ვითომც ჩვენი ჯარი სხვა და სხვა ადგილებს იგზავნებოდეს ხოლმე სხვა ერებთა ურთიერთშორის შეტაკების მოსასპობათ. ეს ხმები ჩვენს ხალხს აღელვებს.

ვლადიმერ გობეჩია: განჯაში წავიყვანეთ 70 კაცი მხოლოდ კომისიის შედგენილობის დასაცავად. მართალია, სადგურზედ ქართველ ჯარისკაცებმა მონაწილეობა მიიღეს ავაზაკების წინააღმდეგ, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ავაზაკებისაგან გაცარცვულნი აღმოჩნდნენ თვით ადგილობრივი ქართველი მოსახლეობაც. მესამე დღეს ეს მცირე რაზმი უკანვე დაბრუნდა.

ნოე რამიშვილი: ეს შეკითხვა მისაღები არ არის. საჭიროდ მიმაჩნია ამასთანავ აღვნიშნო [გაზეთ] „ვოზრაჟდენიის“ უსამართლო გამოლაშქრება სამხედრო სექციის წინააღმდეგ იმავე საგნის

გამო. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაზე მაღლა რევოლიუციის ინტერესები სდგას. და თუ ეს ინტერესები მოითხოვს არამცთუ განჯაში ერევანშიაც გავექანებით.

ვიღაცის ხმა: პეტროგრადშიაც!

თავმჯდომარე: ჯარი რომ არ გაგვეგზავნა, მაშინ გზაც არ იქნებოდა და ისეთ მდგომარეობაში ჩავცვივდებოდით, როგორიც ახლა გუდერმისიის სადგურთან არის, სადაც ბრძოლაა და ომი, - წინადვე ძნელი სათქმელია, სად უნდა გაიგზავნოს ჯარი და სად არა ისეა გადაბმული ჩვენი ქვეყნის ინტერესები სხვა ტერიტორიებთან.

იოსებ გობეჩია: თუ მიმავალ ჯარს იარაღს ვერ ავყრით, ისევ ბაქოსკენ უნდა გაიგზავნოს ეშელონები.

თავმჯდომარე: იქითკენ გზა შეკრულია. მოგახსენებთ გუდერმესთან ბრძოლაა ნამდვილი.

შალვა მიქელაძე: ბათუმში შეუძლებელია გაგზავნა იარაღიანი ეშელონებისა. უიარაღონი შეიძლება გაიგზავნონ, მხოლოდ მათი მოძრაობა უნდა შევუსაბამოთ ბათუმიდან გემების გასვლის დროს, თორემ თუ ეშელონებმა ბლომად მოიყარა თავი ბათუმში და რამდენიმე დღე გაჩერდნენ, იქაურობას მთლად გაანადგურებენ, რადგანაც ბათუმში არსენალია და იარაღს ადვილად ჩაიგდებენ ხელში.

კრების დახურვა.

თავმჯდომარე. უნდა მოგახსენოთ, რომ არც ერთი ტრანსპორტი არ მიიღებს შეიარაღებულ ჯარს. უწინარეს იარაღს აჰყრიან და ისე გადასხავენ ხოლმე გემებში. ამრიგად, საკითხი გამორკვეულია და კრებასა ვხურავ.

სცსსა, ფ.1836, ანაწ.1, საქ. 5, ფურც. 003-029-052

გამოსაცემად მოამზადა ირაკლი იაკობაშვილმა